სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 11 (267). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 11 ივნისი

დღეს ნომერში:

● 1 ივნისს საყოველთაოდ აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვიქტორია სირაძის საუბარი ჩვენს კორესპონდენტთან შეგიძლიათ წაიკითხოთ მეორე გვერდზე.

● ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ორჯონიკიძეში 83 წელიწადია არსებობს ქართული სკოლა. ამ სასწავლებლის მდიდარ ტრადიციებს, მის დღევანდელ ცხოვრებას გაეცნობით მეოთხე გვერდზე.

მეცნიერული აზრის ტრიუმფი



გიორგი დობროვოლსკი



ვლადისლავ ვოლკოვი



ვიქტორ პაცაევი

კოსმოსში მუშაობს საბჭოთა პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგური! ეს სასიხარულო ცნობა ჩვენს პლანეტას ელვის სისწრაფით მოედო და მილიონობით ადამიანი აღაფრთოვანა.

დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად, 1971 წლის 6 ივნისს, 7 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით, საბჭოთა კავშირში სტარტი აიღო მატარებელმა რაკეტამ „სოიუზ-11“ კოსმოსური ხომალდითურთ. კოსმოსურ ხომალდს მართავს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური, პოდპოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს ძე დობროვოლსკი, ბორტინჟინერი, საბჭოთა კავშირის გმირი კოსმონავტი მფრინავი ვლადისლავ ნიკოლოზის ძე ვოლკოვი და ინჟინერ-გამომცდელი ვიქტორ ივანეს ძე პაცაევი.

როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა „სოიუზ-11“ ხომალდის ფრენის მიზანია განაგრძოს კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური კვლევა „სალუტის“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურთან ერთობლივი ფრენით.

7 ივნისს 10 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით, მას შემდეგ, რაც „სოიუზ-11“ სატრანსპორტო კოსმოსურმა ხომალდმა წარმატებით შეასრულა შეპირაპირება „სალუტ“ სამეცნიერო სადგურთან, რომელიც ორბიტაზე გაყვანილ იქნა 1971 წლის 19 აპრილს, ხომალდის ეკიპაჟი გადავიდა სამეცნიერო სადგურის სათავსში, პირველად გადაიჭრა საინჟინრო-ტექნიკური ამოცანა, როცა სატრანსპორტო ხომალდმა ეკიპაჟი მიიყვანა დედამიწის თანამგზავრ სამეცნიერო სადგურში.

ეკიპაჟი, გარდა იმისა, რომ ამოწმებს და ცდის ორბიტული პილოტირებული სადგურის კონსტრუქციას, აგრეგატებსა და საბორტო აპარატურას, იკვლევს დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-გეოგრაფიულ ობიექტებს, დედამიწის ატმოსფერულ წარმონაქმნებს, იმ მიზნით, რომ შემუშავდეს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაჭრელი მეთოდები. სწავლობენ ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენას.

კოსმონავტებმა, რომლებიც თავს ჩინებულად გრძნობენ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მისალმებაზე მადლობით უპასუხეს და განაცხადეს, სამშობლოს დავალებას შევასრულებთო.

სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟი კოსმოსიდან მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ხალხს და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობას.

საბჭოთა კოსმონავტების ცაში გაჭრას ფართოდ გამოეხმაურა მთელი მსოფლიო. სააგენტოები ნიშნით „ელვა“, „სასწრაფო“, დაწვრილებით გადასცემენ ცნობებს საბჭოთა პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგურის მუშაობის შესახებ.

ვარშავის, სოფიის, პრაღის, ბერლინის, დამასკოს, სტოკჰოლმის, ნიუ-იორკის, პარიზის, ტოკიოსა თუ ბონის გაზეთები, ტელევიზია და რადიო ერთსულოვნად აღნიშნავენ რომ საბჭოთა კავშირი განაგრძობს როგორც პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ფრენის განხორციელებას, ისე ავტომატური აპარატების გაშვებას, რომლებიც განკუთვნილია კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების გამოსაკვლევად.

9 ივნისს 15 საათისათვის მოსკოვის დროით „სალუტ“ სამეცნიერო სადგურმა კოსმონავტებითურთ 38-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.





ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს 25 წელიწადი შეუსრულდა. თუ როგორ აღვნიშნეთ ეს სახელოვანი თარიღი გაეცნობით მესამე გვერდზე.

სურათებზე: ცეკვა „ქართული“ — ანსამბლის სოლისტი ლატავრა ფოჩიანი. ქვევით — „ნარნარი“.

სიმონ კილაძის ფოტო

დღეს ნომერში:

● 13 ივნისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა. ნარკვევი „ამაგდარი“, რომელიც დაბეჭდილია მეხუთე გვერდზე, თქვენ გაგაცნობთ დეპუტატობის კანდიდატს ნინო ჟვანიას.

● დღითიდღე ვითარდება საერთაშორისო ტურიზმი. იმ ტურისტულ გზებზე, რომლებიც ქართველ კაცს წლიულს საზღვარგარეთის ქვეყნებს მოატარებს, გვესაუბრება საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ოთარ ცანავა. ეს საუბარი მეექვსე გვერდზეა დაბეჭდილი. აქვე გამოქვეყნებულია წერილი ქართველ მუსიკოსებზე, რომლებიც ეგვიპტეში მოღვაწეობენ.

● გაზეთის მეშვიდე გვერდზე გამოქვეყნებულია რუსთაველის პრემიის ლაურეატის მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობა.



ესოფლიოს გაზაფხული

ვირველ ივნისს მსოფლიოს კაცობრიობამ აღნიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვიქტორია სირაძეს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე:

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. რატომ აღინიშნება ასე საყოველთაოდ ეს დღე?

ბავშვები ჩვენი სიხარული და სიამაყეა, ჩვენი ზრუნვის საგანი. ქვეყნად არაფერია იმაზე ძლიერი და ბუნებრივი, ვიდრე მშობლის შეუნელებელი სწრაფვა, რომ შვილები იზრდებოდნენ ჯანმრთელნი, განათლებულნი. შემართებულნი, პატიოსანნი და ცხოვრობდნენ მშვიდად, ომისა და ჩაგვრის საშინელების გარეშე.

სწორედ ამიტომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ ზაფხულის პირველი დღე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.

ბავშვების საკეთილდღეოდ არაერთხელ შეკრებილან დედები მსოფლიოს კონგრესებსა და კონფერენციებზე, აუმაღლებიათ ხმა ბავშვთა სიხარულისა და ბედნიერებისათვის, მათი დაცვის აუცილებლობისათვის ნაპალმის ბომბებისაგან, შიმშილისაგან, დაავადებისაგან, კატასტროფულ რასისტებისაგან. არ შეიძლება ხმა არ ავიმაღლოთ იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის დანაშაულობათა გამო, არ შეიძლება არ მოვითხოვოთ მოწმენდილი მშვიდობიანი ცა ვიეტნამელი, ლაოსელი, არაბი ბავშვებისათვის. ყველა ბავშვის, ყველა ოჯახის უფლების დაცვა უპირველესი პირობაა ხალხთა ბედნიერებისა და სიხარულისათვის. მშვიდობა და ბედნიერება უნდა სუფევდეს მთელ დედამიწაზე, პატარა უნდა განიცდიდეს ჭეშმარიტ ბავშვურ სიხარულს!

რა კეთდება ბავშვების დასვენებისა და ჯანმრთელობისათვის ჩვენს ქვეყანაში?

— არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ზრუნავენ ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში. პატარების განკარგულებაშია პიონერთა სასახლეები და სახლები, სპორტდარბაზები და მოედნები, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა, ტურისტთა სადგურები, კულტურისა და დასვენების პარკები, კლუბები, მუზეუმები, საბავშვო თეატრები, ბიბლიოთეკები... მათთვის გამოდის ჟურნალები და გაზეთები, იდგმება სპეციალური სატელევიზიო სანახაობანი და ფილმები. ნორჩების ჯანმრთელობის დაცვას მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ემსახურება ათასობით ექიმი, ინსტიტუტები, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები. მათთვის საკვლევსო ჟურნალებზე გაშენებულია 28 სანატორიუმი და ათობით დასასვენებელი სახლი, უამრავი ბანაკი, გამაჯანსაღებელი მოედანი... ბავშვების ჯანმრთელ, ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი საკითხია, ცხოვრების კანონია, წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

რა სიახლეებია გათვალისწინებული პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში დედათა და ბავშვთა პირობების გაუმჯობესებისათვის?

— დედათა უფლებების დაცვა, მათი პირობების გაუმჯობესება მომავალი თაობის უკეთესი აღზრდის საწინდარია. ამიტომ ეს საკითხი პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია. ცხადია, XXIV ყრილობაზეც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ საკითხებს. დირექტივებში ნათქვამია: გაუდიდდეთ მატერიალური დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს. გაუფართოვდეთ შეღავათები მომუშავე ქალებს — დედებს. შემოღებული იქნეს დახმარება იმ ოჯახების ბავშვებისათვის, რომელთა საშუალო შემოსავალი ყოველ წევრზე თვეში 50 მანეთს არ აღემატება, გაუდიდდეთ დედებს ბავშვის მოვლისათვის საჭირო ანაზღაურებული დღეების რაოდენობა, დაწესდეს ყველა მომუშავე ქალისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ანაზღაურება სრული ხელფასის ოდენობით, შრომის სტაჟის მიუხედავად.

მოზარდი თაობის განათლებაზე რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს?

— ჩვენში ყველა ბავშვი სწავლობს, ყველა ბავშვი გარემოსილია მშობლების, პედაგოგთა, აღმზრდელთა, ექიმთა მზრუნველობითა და ყურადღებით. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში 120 ათასამდე ბავშვს ემსახურება 1.782 საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი, 4.585 სკოლაში 1.050 ათასი გოგონა და ბიჭუნა ყოველდღიურად ეუფლება ცოდნას. მათთვის ხელმისაწვდომია ყველა სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკა, დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, კაბინეტები, ლაბორატორიები.

ჭალბატონო ვიქტორია, ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ როგორც ქალს, როგორც დედას, მშობელს — რა გრძნობას იწვევს თქვენში სიტყვა „ბავშვი“?

ბავშვი სიცოცხლის უჭკნობი ლამპარი და კაცობრიობის გაზაფხულია, ჩვენი იმედი, ჩვენი უკვდავებაა. მან უნდა გააგრძელოს ჩვენი სიცოცხლე, დაადასტუროს ამ სიცოცხლის უწყვეტობა და უსასრულობა. მან უნდა მიიყვანოს ბოლომდე ჩვენი დაწყებული საქმე. ბავშვი! მის პირველ გაღიმებას, პირველ ნაბიჯს, პირველ სიტყვას შეუძლია ყველაზე ბედნიერი ადამიანად გვაქციოს ქვეყანაზე. ბავშვი! ეს ის არსებაა, რომელსაც ყველა ოჯახში მოაქვს უდიდესი სიხარული და ბედნიერება.

რას უსურვებდით ჩვენს პატარებს?

— ახლახან გაზეთმა „ნედელიამ“ გამოაქვეყნა საინტერესო საუბარი პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძესთან. შეკითხვაზე — რა არის თქვენი საყვარელი სადღეგრძელო — ბატონმა ირაკლიმ უპასუხა: ბავშვების, მომავალი თაობის სადღეგრძელო. მე მათ ვუსურვებ: დაე მუდამ შორს იყოს მათგან სამი რამ — ომი, სიღატაკე და სიმდიდრე. სიამოვნებით ვიმეორებ ახლა ამ სიტყვებს.



● როცა ცა მოწმენდილია...
თბილისელი მოსწავლის ბადრი დათუაშვილის ფოტო

მტრედები, აკვნები, ბავშვები!

დამდგარან მშვიდობის,
სიცოცხლის დარაჯად,
ფხიზლობენ მამები, დედები,
მსოფლიოს შემოვხსნათ დაშნა და
ფარაჯა:
მტრედები, მტრედები,
მტრედები!
ომი დედამიწას ამსგავსებს
ლაზარეთს,
ცისა და ხმელეთის ამკლები.
ვარდებით დაუხშეთ ლულები
ზარბაზნებს:
აკვნები, აკვნები, აკვნები!
მზეც არის, დღეც არის ოქროს და
ბადახშის,
ცას სწვდება ფოლადის რაშები,
შეჩერდით! არ გინდათ ატომთან
თამაში:
ბავშვები, ბავშვები, ბავშვები!

გაიოზ შავერზაშვილი

საქართველო ბაზელის გამოფენაზე

შვეიცარიის ქალაქ ბაზელში 3 ივნისს გაიხსნა 1971 წლის საბჭოთა საექსპორტო საქონლის გამოფენა. ჩვენი რესპუბლიკა ამ გამოფენაზე ცალკე განყოფილებით არის წარდგენილი და, შვეიცარიიდან მიღებული ცნობებით, დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

გამოფენის გახსნას დაესწრო და შვეიცარიაში რამდენიმე დღე დაჰყო საბჭოთა დელეგაციამ. დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოდან შედიოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი შალვა კიკნაძე და საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რაფიელ ელიგულაშვილი.

აი რა უამბო ჩვენს კორესპონდენტს რაფიელ ელიგულაშვილმა.

საქართველოს ექსპოზიციას 500 მეტრი ფართობი უჭირავს. ექსპოზიციის ძირითადი მიზანია აჩვენოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკის კულტურის, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მაგალითზე.

განყოფილების შესასვლელს ამშვენებს მხატვრულად გაფორმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი, გერბი და წარწერა — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“.

ექსპოზიცია შედგება თემატური ნაწილებისაგან. „საბჭოთა საქართველო 50 წლისაა“, „საქართველო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტრადიციული სავაჭრო პარტნიორია“, „ვწვეით საქართველოს“.

მხატვრული ფორმით ნაჩვენებია ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის, მოსახლეობის შემადგენლობისა და რაოდენობის, ძირითადი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურული და გამაჯანსაღებელი ცენტრების განლაგების მონაცემები. მოყვანილია კონკრეტული ციფრები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებსა და სახალხო მეურნეობის პოტენციურ შესაძლებლობათა შესახებ.

განსაკუთრებით ბევრი მნახველი ჰყავს განყოფილებას „საქართველო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტრადიციული სავაჭრო პარტნიორია“. ლამაზად გაფორმებულ მსოფლიოს უზარმაზარ რუკაზე სქემატურად არის ასახული რესპუბლიკის საგარეოეკონომიური კავშირურთიერთობა. დამთვალიერებლებისათვის ცნობილი ხდება, რომ რესპუბლიკის 120-ზე მეტ სამრეწველო საწარმოს გააჩნს თავისი პროდუქცია მსოფლიოს 67 ქვეყანაში.

გამოფენის ეკრანებზე უჩვენებენ ქართულ მხატვრულ და სარეკლამო ფილმებს.

რაც შეეხება გამოფენის კომერციულ მხარეს, სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა: ყველა საქონელს გამოუწნდა მრავალი მყიდველი. განსაკუთრებით მოიწონეს ოქრო-ვერცხლის ნაწარმი, ქსოვილები, ჭედურობა, ოდეკოლონები. მანქანა-დანადგარები...

ჩვენი გამოფენისადმი შვეიცარიის საქმიანი წრეების დაინტერესება კარგად აისახა მასპინძელთა ჟურნალ-გაზეთებში, ტელე და რადიოგადაცემებში გვიქებდნენ ნახელავს და გვილოცავდნენ გამარჯვებას, რომ შეგძელით ბევრისმნახველი შვეიცარიელების ასეთი დაინტერესება.

23 ივნისს, როდესაც გამოფენა დაიხურება, გაფორმდება ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება, მანამდე კი მასპინძლები და სხვადასხვა ქვეყნიდან შვეიცარიაში ჩასული ტურისტები საბჭოთა გამოფენის სასურველი სტუმრები იქნებიან.


შეხვედრა სოხუმის თეატრთან

პირველ ივნისს თბილისში, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გასტროლები დაიწყო სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა.

სტუმრებმა თბილისელებს უჩვენეს ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“, (გიორგი ხუხაშვილის ინსცენირება), ბაგრატ შინკუბას „კლდის სიმღერა“, ფრიდრიხ შილერის „დონ კარლოსი“, გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ და „ბერნარდა ალბას ოჯახი“, ვიქტორ ჰიუგოს „მარია ტიუდორი“, რობერის „მარი-ოქტომბერი“, იბსენის „მოჩვენებანი“ და სხვა სპექტაკლები.

გასტროლები თბილისში 13 ივნისამდე გასტანს. თეატრი პარალელურად წარმოდგენებს მართავს რუსთავში, ცხინვალსა და გორში.

სოხუმის თეატრის გასტროლებს დედაქალაქის ხელოვნების მოყვარულნი დიდი ინტერესით შეხვდნენ.



შექსპირი სცენაზე

მშპირის კიდევ ერთი ნაწარმოები აამეტყველა ცეკვის ენით ქორეოგრაფიის დიდმა ოსტატმა, საბჭოთა ჯავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატმა ვახტანგ ჭაბუკიანმა. ამ დღეებში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა რესპუბლიკის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის ბალეტი „ჰამლეტი“.

როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბეჭარ მონავარდისაშვილი, მსახიობები ვალერი აბულაძე, ცისკარ ბალანჩივაძე, ნათელა არობელიძე, მაკა მახარაძე, ნუგზარ აბესაძე და სხვები.

დირიჟორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი.

„ხსოვნა გველისა“

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა კარგი წარმოდგენით გააბარა მაყურებლები. ეს არის ალექსანდრე კორნეიჩუკის დრამა „ხსოვნა გულისა“ (გრიგოლ აბაშიძის თარგმანი).

პიესა დადგა საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტმა, ტარას შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატმა, რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ.

მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვერიკო ანჯაფარიძე და ვასო გოძიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მარინე თბილელი, გრიგოლ კოსტავა, კოტე მახარაძე, ალექსანდრე ომაძე და თეატრის ახალგაზრდა მსახიობები.

ფესტივალში გამარჯვებულნი

საბჭოთა კავშირში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა უნგრული დრამატურგიის ფესტივალი. ხელოვნების ამ დიდ ზეიმში ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი კოლექტივი — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრიც მონაწილეობდა. მან მაყურებელს უჩვენა უნგრული დრამატურგიის ფუძემდებლის იოჟეფ კატონას პიესა „ბანკ ბანი“.

სპექტაკლის დასადგმელად თეატრმა მოიწვია ბუდაპეშტის იოჟეფ ატილას სახელობის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, იასაის პრემიის ლაურეატი გაბორ ბერენი. მასთან ერთად სპექტაკლის მომზადებაში მონაწილეობდნენ ბუდაპეშტის ეროვნული თეატრის მხატვრები — იასაის პრემიის ლაურეატი არპად ჩანი, ნელი ვაგო და ბუდაპეშტის რადიოს მუსიკალური რედაქტორი ეგი ჰეგედუში.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე, თენგიზ მაისურაძე და სხვები.

ფესტივალში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 72 საუკეთესო თეატრი, რომლებმაც განახორციელეს 24 კლასიკური და თანამედროვე დრამატული თუ მუსიკალური უნგრული ნაწარმოები. მათ ამოწმებდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისა და საბჭოთა ხელოვნების ოსტატებისაგან შემდგარი ჟიური.

ქართული თეატრის წარმოდგენას ჟიურიმ საუკეთესო შეფასება მისცა. ფესტივალში გამარჯვებული 9 მსახიობისაგან ორი — ოთარ მეღვინეთუხუცესი და ნოდარ მგალობლიშვილი — რუსთავის თეატრის წარმომადგენელია.



● ფეხის წვერებით მსოფლიოს გარშემო!

იუბილარი 25 წლისაა



ფარიკაობა.



ილიკო სუხიშვილი (მარცხნიდან მეორე) და ნინო რამიშვილი (მარჯვნიდან მესამე) მაორის ტომის წარმომადგენლებთან ახალ ზელანდიაში.

● მე მხოლოდ ოც წუთს უნდა დავრჩენილიყავი თქვენს კონცერტზე, ახლა კი ბოლომდე დავრჩები. დაე, ქართულმა ხელოვნებამ ბოლომდე განმკურნოს... ეს სანჯალი კი მუდმივად იქნება ჩემთან, რათა მახსოვდეს საქართველო, სადაც მე ვიყავი, და ქართველი ხალხი, რომელიც ასე შემიყვარდა...

ჯავაჰარლალ ნერუ.

●„ალბერტ ჰოლში“ ვუყურებდი თქვენს კონცერტს, და ვიხსენებდი თბილისში გატარებულ მშვენიერ დღეებს, — რუსთაველის საიუბილეო დღეებს... მე მომაგონდა შოთას უკვდავი პოემა, მეგობრობა, სიყვარული, რაინდობა, მიმიღეთ მე, ჯეიმს ოლდრიჯი, თქვენს თაყვანისმცემელთა რიგებში!

ჯეიმს ოლდრიჯი.

● კონცერტის შემდეგ მე ვარ თქვენი კონსული... ესე იგი თამადა. პრემიერამ დიდი ტრიუმფით ჩაიარა. თეატრი ოვაციებისაგან ჭუხდა... ჩათვალეთ ჩილე თქვენს სახლად!

პაბლო ნერუდა.

● სულით და გულით მივილოცავთ მსოფლიოს უბრწყინვალეს ანსამბლს... იდღეგრძელონ, მრავალჟამიერ!

ჯორჯ ბალანჩინი.

ეს სურათები გადაიღო ანსამბლის სოლისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, ჟურნალისტმა თენგიზ უთმელიძემ.

ყოველი იუბილე ასაკთან არის დაკავშირებული. ჩვეულებრივად, დიდ იუბილეებს 50, 75, 100 წლის ასაკში იხდიან. 25 წელი იმდენად ცოტაა, რომ მისი ზეიმით აღნიშვნა თითქოს არც არის საჭირო. მაგრამ, თუ ამ მეოთხედ საუკუნეში შენი შემოქმედებით მოასწარი მთელი მსოფლიოს დაპყრობა, თუ შენს ნატიფ ხელოვნებას ოვაციებს უმართავენ თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, პრაღაში, ვარშავაში, პუდაპეშტში, პარიზში, ვენაში, ლონდონში, ნიუ-იორკში, რიო-დე ჟანეიროში, მელბურნში... და თუ წარმატების მიზეზი ყველგან, როგორც წესი, სწორედ შენი სიჭაბუკეა, მაშინ ასეთი ოცდახუთი წელი მართლაც რომ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს.

დიახ, ჩვენს იუბილარს, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს, რომელსაც ეროვნული ცეკვის უბადლო ოსტატები, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ, ოცდახუთი წელიწადი შეუსრულდა.

31 მაისს ყვავილებით იყო სავსე თბილისის სახელმწიფო დიდი საკონცერტო დარბაზი. მაყურებელი ფეხზე ამდგარი, ოვაციებით შეხვდა სცენაზე ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის გამოჩენას. ქართულ კაბებსა და შავ ჩოხებში გამოწყობილი ქალიშვილები და ვაჟკაცები სულგანაბული ისმენდნენ მილოცვებს, დარბაზის ტაშს თავიანთსაც უერთებდნენ, რომელიც ოდნავ აღელვებულ, მაგრამ უზომოდ ბედნიერ ქალბატონ ნინოსა და ბატონ ილიკოს ეკუთვნოდათ.

თქვენ გააცანით ქართული ხელოვნება მთელ მსოფლიოს, მოხიბლეთ და დაიპყარით ქალაქები, სახელმწიფოები, კონტინენტები,, — ასე მიმართავს იუბილარს დიდი თუ პატარა, მუშა თუ პროფესორი, მეზღვაური თუ მინისტრი...

წუთი წუთს მისდევს, მილოცვები გრძელდება: კითხულობენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, პარიზიდან, ლონდონიდან, ნიუ-იორკიდან გამოგზავნილ დეპეშებს. შემდეგ კი დარბაზში კვლავ იღვრება ნაცნობი მელოდიები — „ქართული“, „ფარიკაობა“, „შეჯიბრი“ და კვლავ იფეთქა ტაშმა — ცეკვავს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი. ჯერიანი კვლავ ჯერირნობს, საცეკვაოდ იწვევს ჰაბუკებს — ამა გამომყევითო, თუმცა რა არის ამაში გასაკვირი — იუბილარი ხომ მხოლოდ 25 წლისაა. ამ ასაკში კი არც ფეხის წვერებზე ტრიალისაგან იღლებიან და არც თავბრუ ესხმით. გაოგნებული მაყურებელი დაჟინებით მოითხოვს ნომრის განმეორებას და აბა, ქალბატონი ნინო უარს როგორ იტყვის! კვლავ ძველი ქალაქური მელოდიები და ყარაჩოღელებს შორის ოქროს თევზივით ასხლტილი ცეკვის ჯადოქარი ნინო რამიშვილი!



ცეკვა „ნარნარი“. სოლისტი იამზე დღაბრიძე.



ცეკვავს ნინო რამიშვილი — ჯერანი კვლავ ჯერირნობს!

სცენაზე არიან ნორჩი მოცეკვავეები. იხინი ცდილობენ თავი მოაწონონ ნინო დეიდასა და ილიკო ძიას. და მრავალი თაობის აღმზრდელნიც გულში იკრავენ ნორჩებს — ანსამბლის ხვალინდელი დღე რომ ეკუთვნით.

მიკროფონთანაა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი. — გმადლობთ ყურადღებისათვის, სიყვარულისათვის, დაფასებისათვის. მომავალშიც ასე ღირსეულად ვატარებთ საქართველოს სახელს მსოფლიოს გზებზე...

ბატონი ილიკოს ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება. ოცდახუთმა წელიწადმა კარგად დაგვანახა, რა შეუძლია ადამიანს, თუ ხელთ ხალხური მარგალიტები აქვს, ან რაოდენ ამაღლებულია ხელოვნება, თუ იგი უცხო ქვეყნებში სამშობლოზე ასე უზადოდ შეყვარებულ ადამიანებს მიაქვთ...

ანსამბლი მალე იაპონიას ესტუმრება, ახლა ამოსავალი მზის ქვეყანაში ნახავენ საქართველოს სახალხო არტისტების — იამზე დოლაბერიძის, ნინო კორკოტაშვილის, ომარ მხეიძის, თენგიზ სუხიშვილის, გიორგი ჯიბლაძის, საქართველოს დამსახურებული არტისტების — თამაზ კოკალეიშვილის, ჯემალ ნავროზაშვილის, ანზორ ნიკოლეიშვილის, ანზორ ახლანიშვილის, ჯუმბერ ბერაძის, ლატავრა ფოჩიანის, ინგა თევზაძის, დავით ბასილაშვილისა და სხვათა უბადლო ოსტატობას, ჯეროვნად დააფასებენ სახალხო მხატვრის სოლიკო ვირსალაძის ფუნჯის ძალას — ოცდახუთი წელიწადი მის მიერ შექმნილი კოსტიუმებით რომ იმოსება ანსამბლი.

შემდეგ? შემდეგ სახელოვანი კოლექტივი კვლავ მრავალჯერ გადაიხდის იუბილეს. მაგრამ ყოველთვის იქნება ისეთი ახალგაზრდა და ცეცხლოვანი, როგორც დღეს.



● ● ● ჩიკაგო ჩემს ფერხთაა! — თენგიზ უთმელიძის სარეკლამო ნახატიდან.

ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დირექტორის დაბადების 70 წლისთავი

1971 წლის 28 აგვისტოს ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ („ბედი ქართლისა“) დირექტორ-დამაარსებელს, პროფესორ კალისტრატე სალიას დაბადების 70 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს საჭიროდ მიაჩნია პატივი სცეს და ღვაწლმოსილ პროფესორს ჯვლავაც სანგრძლივი მოღვაწეობა უსურვოს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის შესწავლისათვის საზღვარგარეთ.

არ უნდა დავგვიწყდეს, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ ქართველოლოგიით სერიოზულად დაინტერესებულთა რიცხვი საზღვარგარეთ უმნიშვნელო იყო. საქართველო არ იყო მსოფლიო ასპარეზზე წარდგენილი ისე, როგორც შეიფერება მის ისტორიას, წარსულისა თუ დღევანდელობის კულტურულ სიმდიდრეს.

დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რაც დრო გადის, უფრო მეტი და მეტი ევროპელი და ამერიკელი მეცნიერი სწავლობს საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხთა ენებს, ლიტერატურას, ისტორიასა და ხელოვნებას. ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება მრავალ უნივერსიტეტში. მეცნიერული კვლევა-ძიება კავკასიური ენების დარგში ყველგან ვითარდება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დირექტორმა, რომელიც წლეულს ზეიმობს თავისი დაბადების 70 წლისთავს. 15 წლის წინათ ამ ბეჭდვით ორგანოს საფუძველი რომ ჩაუყარა, მან შეძლო ჟურნალის ირგვლივ შემოეკრიბა ყველა ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, დაემყარებინა აუცილებელი კონტაქტები, რომლებიც მანამდე თითქმის არ არსებობდა, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის და გაეღვივებინა მეცნიერთა ინტერესი ამ ღირებულად და მომხიბლავი მხარის ცივილიზაციის ყველა ასპექტის შესწავლისადმი.

კალისტრატე სალია განუწყვეტლივ ზრდიდა ჟურნალის მოცულობას, სრულყოფდა მის მხატვრულ გაფორმებას და განამტკიცებდა ჟურნალის მეცნიერულ დონეს. დირექტორმა 64-გვერდიანი ჟურნალი გადააქცია საერთაშორისო სახელის მქონე დიდ სამეცნიერო ჟურნალად, რომელიც აღიარებულია მეცნიერულ სამყაროში როგორც საზღვარგარეთის ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის აუცილებელი ბეჭდვითი ორგანო.

კალისტრატე სალია ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო წრეებს აცნობს იმ მეცნიერულ მუშაობას, რომელიც წარმოების საქართველოსა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიებსა და უნივერსიტეტებში, ჩრდილოეთ კავკასიის ინსტიტუტებში. ამ ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები თანამშრომლობენ ჟურნალში, სადაც რეგულარულად ქვეყნდება მათი ნაშრომების მიმოხილვები და ბიბლიოგრაფიები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე თვით კალისტრატე სალიას მნიშვნელოვანი შრომები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა ამ წარმატებებს მიაღწია თავისი შესანიშნავი ერთგულებითა და დაუღალავი ენერგიით, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დახმარებით, რის გამოც მას მადლობას მოვახსენებთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ იუბილარის მეუღლის ნინო სალიას დამსახურებაც. ნინო სალია პირველი დღეებიდანვე ჟურნალს დიდ დახმარებას უწევს, ამასთან ჟურნალის ფურცლებზე აქვეყნებს სტატიებს. ორივე მოღვაწე მძიმე, მაგრამ ღირსეულ შრომას ეწევა უდიდესი თვითგანწირვის ფასად. მათ აქვთ საფუძველი აღიარებული იქნენ მეცნიერთა სამყაროში, მათ მშობლიურ ქვეყანაში, რომლებსაც ისინი გულმოდგინედ და ერთგულებით ემსახურებიან.

იულიუს ასფალგი — მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, **ჟერარ გარიტი** — ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, **ფრანსუა გრაფენი** — პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი, **რენე ლაფონი** — ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი, **დავიდ მარშალ ლანგი** — ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, **ირენ მელიქოვი** — სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, **შარლ მერსიე** — პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი, **ჟოზეფ მოლიტორი** — ბამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, **გერტრუდ პეჩი** — იენის უნივერსიტეტის პროფესორი, **კარლ ჰორსტ შმიდტი** — ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, **ჰანს ფოკტი**—ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

„რევიუ დე კარტველოლოჟი“, პარიზი, 1971 წელი. 28-ე ტომი.

ფრანგულიდან თარგმნა სერგო ჯურნავამ.



ვანოობა

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დიმიტრი გელაშვილმა. პირველი სიტყვა წარმოთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ირაკლი აბაშიძემ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი, მშრომელები, სტუდენტები.

ღია ცის ქვეშ მოწყობილი ესტრადიდან ათასობით ადამიანი გულს იტკბობდა სასიამოვნო სიმღერებით. თავიანთ შემოქმედებას ეჩვენებოდნენ სიღნაღის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეები, რაიონის თვითმოქმედი კოლექტივები... გეგონებოდათ, საზეიმოდ აზოვავებული სიმღერის დიდი მდინარე მიღელავდა და თავდაღმართზე ჩამავალ ვიწრო, ძველებურ ქუჩაბანდებს სიმღერის ჰანგები მდინარის შხეფებივით ეფრქვეოდა.

სიმღერის ზეიმმა გვიანობამდე გასტანა.

გაივლის ხანი...

გარდუვალ მარადისობას ჩაბარდება ძველი ურემი, მაგრამ რა მოკლავს ჩვენს დიდებულ ხალხურ სიმღერას, რა მოკლავს „ურმულს“!

და აი ლაზათიან ქართულ სუფრასთან ადგება ღაქუაჟა, ბრგე თამადა, თეთრ ულვაშს გადაიგრეხს და მოკლედ მოჭრის: — სამარადისო დიდება ჩვენს განთქმულ მომღერალს, რომელსაც ხალხი საქართველოს ბულბულს ეძახდა. ნეტარება მის აკვანს, მის იავნანას... ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისა იყოს...

ყველანი მყისვე წამოიჭრებიან და სასმისებს დაცლიან, დააყრავებენ და ეამბორებიან.

— აბა, ბიჭებო, საკადრისი რამ! მოხუცი ცალ წარბს შეათამაშებს და აგუგუნდება ჩვენი დიდებული ხალხური სიმღერა — ბრძნული, როგორც რუსთაველის ლექსი, გიჟმაჟი, როგორც არაგვი. ასე იქნება მუდამ, რადგან ვანოს პიროვნებაში გენიალურად იყო შერწყმული ხელოვანი და მოქალაქე, მისი ხმის ტემბრით თვით ბუნება მონარნარებდა, ხოლო როცა „ურმულს“ შემოსძახებდა, ქართველი კაცი მიწის სუნს გრძნობდა. მიწას კი... მარადიული ჭეშმარიტების სუნი აქვს.

მიწა სამშობლოა, უკვდავებაა.

ვანოც უკვდავებად იქცა და ამიტომ არის, რომ ყოველ წელიწადს, მაისის ბოლო კვირა დღეს, ქართველი ხალხი იკრიბება სიღნაღში ვანოს სადიდებლად.

კეთილი მოგონება

ცაგერის რაიონი. სოფელი ბარდნალა. აივნიანი სახლი. კოინდრიანი ეზო და შუბის წვერზე აწეული მაისის მზე. ეზოში უამრავ ხალხს მოუყრია თავი, რათა ზეიმით აღნიშნონ საქართველოს სიყვარულში დაფერფლილი, საყვარელი პოეტის **ლადო ასათიანის** სახლ-მუზეუმის გახსნა.

სტუმრებს გულთბილად ეგებებიან პოეტის და — მედეა, მეუღლე ანიკო ვაჩნაძე, ქალიშვილი მანანა, სიძე გივი ჯანიკაშვილი, შვილიშვილები ეკა და მაკა.

თანასოფლელთა მზრუნველი ხელი ატყვია სახლ-მუზეუმს. კარს ირაკლი ოჩიაურისეული ბარელიეფი ამშვენებს... გამოფენა ჯერჯერობით გაწყობილია მხოლოდ ერთ ოთახში. ბევრი რამ, რაც შეგროვდა და შემდეგ დაემატება, შეავსებს მუზეუმის მეორე ოთახსაც. ამ ერთ ოთახში წარმოდგენილია უმთავრესი, რაც დაკავშირებულია ლადო ასათიანის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან. მათი უმეტესობა პოეტის დას, მეუღლეს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწე ნიკა აგიაშვილსა და პოეტის მეგობრებს შეუნახავთ. აქ არის ლადოს ხელნაწერები, მისი ლექსების წიგნები, საინტერესო ვარიანტები და ჩანაწერები, ამხანაგებთან გაგზავნილი წერილები, ლადოსეული ძველი ფულების კოლექცია, ნივთები, რომელთაც ხშირად შეხებია ლადოს გრძელი, ჩამოქნილი თითები.

ცალკე კედელი აქვს დათმობილი საოჯახო სურათებს. აქ ვეცნობით ლადოს ბებიას, ბიძა-მამიდებს, დედ-მამას, ცოლ-შვილსა და ახლობლებს.

ცალკე ვიტრინებშია ლადოს ხსოვნის აღსანიშნავად გამართული იუბილეებისა და საღამოების მოსაწვევი ბარათები, საიუბილეოდ მიძღვნილი ნივთები და სხვა.

ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, კაცმა თვითონ უნდა ნახოს ყოველივე და დარწმუნდება, თუ რა შინაარსიანი და საინტერესო იყო ამ შემოქმედის ხანმოკლე ცხოვრება.

სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვათა და მოგონებით გამოვიდნენ მწერლები, პოეტები, მეგობრები. ლადო ასათიანისა და საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა და ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

ლადოს თანასოფლელმა ბარდნალელებმა გაიხარეს მათ მიწაზე აღზრდილი კაცის კეთილი მოგონებით.

თერგდალეულთა შთამომავლები

ჭკა არაგვის ულამაზეს ხეობას მიჰყვება. თუმცა ზაფხული ძალაში შევიდა, აქ ჯერ კიდევ ადრეული გაზაფხულია. გზის პირზე გაუმდნარა თოვლის გორები აღმართულა, რაც დამდნარა — ვეება ღელეებად მოედინება. ყაზბეგს გავცდით და ახლა მთლად გადარეულ თერგს გადავყურებთ. მდინარე გარშემო უვლის ძველი ციხის ნანგრევებს და ისევ დაბლობისაკენ ეშურება. ამგვარ ციხე-სიმაგრეებში ცხოვრობდნენ პუშკინისა და ლერმონტოვის გმირები. ამ გზით მიდიოდნენ განათლების მისაღებად ჩვენი წინაპრები, რომლებსაც მერე თერგდალეულებს ეძახდნენ. ამ ადამიანებმა გამოაფხიზლეს მიძინებული საქართველო — შემოიტანეს ცოდნა, რევოლუციური იდეები, დააარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ბევრ კეთილ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი ამ საზოგადოების წევრებმა — ააშენეს სკოლები, სამკითხველოები... გასული საუკუნის ბოლოს მათი ინიციატივით ვლადიკავკაზში გაიხსნა ქართული სკოლა.

დღეს ეს სკოლა 83 წლისაა.

ვლადიკავკაზის ქართულ სკოლას თავდაპირველად 32 მოსწავლე და ხუთი მასწავლებელი ჰყავდა. თავს ქველმოქმედთა წყალობით ირჩენდა. მაშინდელი დოკუმენტები მოგვითხრობენ, რომ სკოლა მადლობას უცხადებს ქართველ ღვინის სირაჯებს, რომლებმაც სკოლისათვის 75 მანეთი გაიღეს, ვინმე ელიაძეს, რომელმაც 180 მანეთის ქვანახშირი მისცა სკოლას...

ენთუზიაზმიც ძალზე დიდი ყოფილა. იმდროინდელი მასწავლებლები — გიორგი ნათაძე, ბაკურაძე, კახიძე, ყაზბეგი და რაზმაძე თავიანთ კეთილშობილ საქმიანობაში სულსა და გულს აქსოვდნენ თურმე.

სკოლის ცხოვრების მატიანეში განსაკუთრებით ძვირფასია ის 14 წელიწადი, როცა აქ ცნობილი ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე მოღვაწეობდა.

საყოველთაოდ ცნობილია: ლუარსაბ ბოცვაძე მარტო პედაგოგი არ ყოფილა. ჩინებული საზოგადო მოღვაწე ფართოდ ნერგავდა ხალხში პატრიოტულ იდეებს.

დიდი პედაგოგიური აღღოთი, ცოდნითა და მოთმინებით ასწავლიდა იგი ქართულ ენას. ხოლო რუსული ენის სწავლების საქმეც იმდენად კარგად ჰქონდა დაყენებული, რომ თერგის ოლქის სკოლების დირექტორი გრუშევსკი სუსტ მასწავლებლებს ეტყოდა ხოლმე: წადით ქართულ სკოლაში, ისწავლეთ ბოცვაძესთანო.

ასეთი იშვიათი და უანგარო პედაგოგის წყალობით კავკასიის ქართული სკოლა გაიზარდა და დიდ სასწავლო-კულტურულ დაწესებულებად იქცა. ლუარსაბ ბოცვაძის დაუშრეტელმა მოღვაწეობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. კავკასიის ქალაქის გამგეობამ ქართველებს მისცა მიწის საკმაოდ დიდი ნაკვეთი, სადაც აშენდა სკოლის ორსართულიანი შენობა. მშენებლობას ზამთარზაფხულ თავს ედგა ლუარსაბ ბოცვაძე. ხალხი ამბობდა: „ამ შენობის კედლები ლუარსაბის ფილტვებით არისო გამომშრალი“.

ვადიოდა წლები. დრო ახალ ცხოვრებას აფუძნებდა. ბევრი რამ იცვლებოდა. ვლადიკავკაზს ხალხმა ორჯონიკიძე შეარქვა, იმ ადამიანის გვარი, რომელთანაც აქ ძალზე ბევრი რამ არის დაკავშირებული. ის, რაც მამაპაპურ ნოყიერ ნიადაგზე იდგა, იზრდებოდა, ვითარდებოდა. იმ ხანებში სკოლა შვიდკლასიანი გახდა. კვლავ სწყალობდა ბედი — პედაგოგებად სულ რჩეული აღმზრდელები მუშაობდნენ. აქ ასწავლიდა ქიმიასა და ბიოლოგიას ნინო დოლიაშვილი, ქართულ ენასა და ლიტერატურას ლევან გოთუა— ჩვენი სასიქადულო მწერალი და საყვარელი ადამიანი.

პედაგოგები დღესაც საუკეთესონი არიან: ეკატერინე ჩაგელიშვილი და ლალი ქავთარაძე, თამარ ებრალიძე და ვარვარა ფიცხელაური, თამარ და გერონტი მეტრეველები, ელენე და შალვა რეხვიაშვილები...

სკოლის დირექტორი სოფიო ელიაშვილი ერთ დროს თვითონ იყო ამ სასწავლებლის აღსაზრდელი. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე აქ დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ოცდაათი წელიწადი გავიდა. სოფიო ელიაშვილის ხელში თაობები იზრდებიან. მერე მიდიან ქართველი გოგო-ბიჭები და ასახელებენ აღმზრდელებს, სამშობლოს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ისე კი, ცნობისათვის მაინც ვიტყვი: ეს სკოლა დაამთავრეს ვანო შადურმა, ვახტანგ ნათაძემ, იოსებ ბოცვაძემ — თბილისის უნივერსიტეტის დღევანდელმა ამაგდარმა პროფესორებმა.

ლა ქალაქ ორჯონიკიძის აპკარ წვრილშის სახელობის ქართულ საშუალო სკოლაში გამოცდების ცეცხლ-ცხელებაა. კიდევ 28 მოსწავლე მიიღებს სიმწიფის ატესტატს.

იმ დღეს დილიდანვე საზეიმო, ოდნავ ამაღელვებელი განწყობილება სუფევდა. მეათეკლასელებს წერითი გამოცდა ჰქონდათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ყვავილების თაიგულებით გამოცხადნენ სკოლაში და გულისფანცქალით ელოდნენ საგამოცდო კომისიას. იყო ერთი მცირეოდენი ნერვიულობა — რა თემები მოვიდოდა და რომელს აირჩევდნენ.

როცა სკოლის დირექტორმა პაკეტი გახსნა და სამივე თემის სათაური გამოაცხადა, მოსწავლეებმა შვებით ამოისუნთქეს. „დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეში“, „ვაჟა-ფშაველას პატრიოტული ლირიკა“, „ფიქრები თანამედროვე ქართველ პოეტებზე“ — აი მათი საგამოცდო თემები. ყველაფერი ნაცნობი იყო, დამშვიდდნენ და კალამს მოჰკიდეს ხელი.

უმრავლესობამ ვაჟა-ფშაველას პატრიოტული ლირიკა აირჩია, თავისუფალი თემა კი — „ფიქრები თანამედროვე ქართველ პოეტებზე“ — ექვსმა მოსწავლემ დაწერა.

მერე შევიტყვეთ, მოსწავლეებს კარგად ემუშავათ. ორიანი რა საკადრისია, თითქმის ყველამ საუკეთესო ნიშნები დაიმსახურა.

სულ მალე მზია ღუდუშაური, მანანა ბოკუჩავა, ბეჟან გოდერძიშვილი, ირაკლი საბაური და მათი მეგობრები საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ წამოვლენ. ოდესღაც ამ გზით თერგის დინების მიმართულებით მიდიოდნენ სასწავლებლად მათი წინაპრები. ახლა კი ბობოქარი თერგის საპირისპიროდ, საქართველოს დედაქალაქისაკენ გამომგზავრება ქალაქ ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის ბევრი კურსდამთავრებული.

ლაშა გარეჯელი,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი,
ქალაქი ორჯონიკიძე.



სურათზე: გამოცდა სიმწიფის ატესტატზე.



ვულოცავთ იუბილარს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ქსენია სიხარულიძეს სამოცი წელი შეუსრულდა.

ქალბატონი ქსენიას მთელი შეგნებული ცხოვრება, მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მშობელი ქვეყნისადმი უანგარო, უმწიკვლო და თავდადებული სამსახურის შესანიშნავი დადასტურებაა.

გამოქვეყნებული აქვს 180 სახელწოდების ნაშრომი (აქედან 21 გამოცემულია ცალკე წიგნად). ზოგიერთი მისი შრომა თარგმნილია მოძმე ხალხთა და უცხოურ ენებზე.

ქსენია სიხარულიძე თავისი ლექციებითა და საჯარო გამოსვლებით ახალგაზრდობაში ნერგავს ამაღლებული პატრიოტიზმის დიად გრძნობას, მგზნებარე სიყვარულს ჩვენი ხალხის დიდებული წარსულის, შესანიშნავი აწმყოსა და უკეთესი მომავლისათვის.

გაზეთ „საშობლოს“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს სახელოვან მეცნიერს იუბილეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს შემდგომ მოღვაწეობაში.

ერთი წერილის კვალდაკვალ

ცდას ფუჭად არ გაუვლია

„საშობლოს“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ, შარშან, 27 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული პროფესორ შალვა გოზალიშვილის წერილი: „ფიქრი პოლონელ მეგობრებზე“.

სამამულო ომის ქარცეცხლიანმა გზებმა ქართველი ჰაბუკი ვარშავის შორიახლო მდებარე ტყეთა ბანაკში მოახვედრა. შიმშილი, გაჭირვება, მტრის სიძულვილი და კვლავ ბრძოლა... ტყეში პარტიზანად გაჭრილ შალვას და მის ქართველ მეგობრებს პოლონელ პატრიოტთა თავგანწირვა, სიყვარული, მეგობრობა იფარავდა.

და აი მრავალი წლის შემდეგ სამამულო ომის ვეტერანი, პროფესორი შალვა გოზალიშვილი შეუდგა პოლონელი მეგობრების ძებნას, რომელთა დავიწყებას, როგორც თვითონ ამბობს, იგი ვერასოდეს შეძლებს.

— სადა ხარ, შენ, ბორის ტშასკა? როგორ არიან შენი მეუღლე, შენი ქალ-ვაჟი? რა ბედი გეწიათ ვარშავაში მომხდარი აჯანყების შემდეგ? როგორა ხარ, მეგობარო ზიგმუნდ, ჩვენთან, ქართველ პარტიზანებთან ერთად რომ შეგიპყრეს ფაშისტებმა და რაღაც სასწაულით გადაურჩით ეშაფოტს? რა ბედი გეწია პატრიოტო ქალო მარია სიჩუკ, ვარშავაში ვილჩას ქუჩაზე რომ ცხოვრობდი? — კითხულობდა პროფესორი.

შალვა გოზალიშვილის წერილი პოლონელ მეგობრებს უთარგმნიათ და ურნალ „ზა ვოლნოს ი ლუდეში“ გამოუქვეყნებიათ. ეს ურნალი მკითხველებს ძირითადად მეორე მსოფლიო ომის ქარიშხლიან დღეებზე მოუთხრობს და ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

სანამ წერილს ვინმე გამოეხმაურებოდა, გოზალიშვილის მიერ ნაჩვენებ გზებს ამ ჟურნალის კორესპონდენტი ელიზაბეტ ხომიჩი დაადგა. გულმოდგინე კვლევა-ძიების შემდეგ მოიძებნა ბორის ტშასკას ოჯახი. სამწუხაროდ, თვით ბორისი ორიოდე წლის წინათ გარდაცვლილა, ცოცხალი არიან მისი მეუღლე და შვილები. ოჯახში კარგად ახსოვთ ქართველი პარტიზანი შალვა გოზალიშვილი, წლების განმავლობაში ინახავდნენ მის თბილისურ მისამართს, ტყეში წასვლის წინ რომ დაუტოვებია და უთქვამს — თუ მოვკვდე, ამ მისამართით გააგებინეთ ჩემს ოჯახს ჩემი ამბავიო, და თუ გადავრჩი, მაშინ ამ მისამართზე მეწვიეთო...

აღნიშნული ჟურნალის მომდევნო ნომრებში კიდევ ორჯერ დაიბეჭდა გამოხმაურება შალვა გოზალიშვილის წერილზე. ტშასკას ოჯახი ახლა თვითონ ეპატიჟება თბილისელ ჯროფესორს, ბრძოლებში შეძენილ მეგობარს, მამის თანამებრძოლს...

თუ როგორ გაიხარეს იქ, პოლონეთში, ქართველი მეგობრის პოვნით, ამის შესახებ დაწვრილებით გვიამბო ჩვენი რედაქციის სტუმარმა ვარშაველმა ჟურნალისტმა ვლადისლავ კოპეცმა. ყოფილი პარტიზანი ძალზე დაინტერესა პოლონურ ჟურნალში გამოქვეყნებულმა ქართველი პროფესორის სტატიამ, აქტიური მონაწილეობა მიიღო მისი თანამებრძოლების ძებნაში და როდესაც ამ დღეებში საქართველოში, თავისი ქართველი მეგობრის თემურ ნაცვლიშვილის მოწვევით ჩამოვიდა, რა თქმა უნდა, რედაქციაშიც მოგვაკითხა...

მაშ ასე, ფუჭად არ ჩაიარა ჩვენმა ცდამ. ბრძოლის ქარცეცხლში შეფიცულ ადამიანების კვალს, დიდი ძებნის შემდეგ, ქართველმა პროფესორმა მიაგნო. განახლდა მეგობრობა, რომელსაც ვეღარაფერი წაშლის.



● ამონაჭრები პოლონური ჟურნალებიდან.

დეკუტატობის კანდიდატი

სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალოდ ბაქიაობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.

ილია ჭავჭავაძე



ამაგდარი

ჭაღარა ოდნავ მკაცრ იერს აძლევს. საუბარიც ისეთი აქვს, ამ პირველ შთაბეჭდილებას გიძლიერებს. სხვისი რა მოგახსენოთ, მე კი მასთან შეხვედრისას მრავალი ღირსებით შემკული — ილიას ოთარაანთ ქვრივი გამახსენდა. ოთარაანთ ქვრივი ნამდვილი ქართველი ქალის ტიპური სახეა. აბა გავიხსენოთ, რა აზრისაა იგი ტკბილ სიტყვაზე: „ტკბილი სიტყვა რა არისო! — იტყოდა ხოლმე. — ამ გამწარებულ წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოფხანს, გულისფხანა რაღა დარდუბალაა!... გული ადგილიდამ უნდა მისძრა-მოსძრა კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა“.

ოთარაანთ ქვრივივით ამ ქალსაც იმდენი შინაგანი სითბო აქვს, რომ მის გარშემო მყოფთ ყველას სწვდება. ვინც მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ნინო ჟვანიას იცნობს, არ შეიძლება არ მოიხიბლოს მისი გულის სითბოთი, ადამიანისადმი დიდი სიყვარულით. აკი წერდა კიდეც ამას წინათ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე ურნალ „სოვეტსკაია ენერგიაში“: „ნაღვლიანი თვალები აქვს ჩვენს ნინოს, მაგრამ გულუხვია და გულკეთილიო“.

მართლაც, ნაღვლიანი თვალები აქვს ქალბატონ ნინოს. მან ხომ დიდი, ბობოქარი ცხოვრება გამოიარა. ტრაგიკულად დაეღუპა მეუღლე და სამ შვილს თვითონ ზრდის. საქმეც იმდენი ახვევია თავს, დედაქალაქის მერის მოადგილეს რომ შეეფერება. მე ვნახე ქალბატონი ნინო მუშაობის დროს და კვლავ რამდენიმეჯერ გამახსენდა ილია ჭავჭავაძის ის დიდებული ქალი.

ნინო ჟვანიას კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა. მასთან მოდიან თხოვნით, რჩევის, დარიგების მისაღებად. მოდიან მადლობის სათქმელად. პირველთ მოუსმენს, დახმარებას აღუთქვამს და შეუსრულებს კიდეც. ზოგიერთ თხოვნის „მოყვარულთ“ ნამუსშიც ჩააგდებს: ამ ქვეყანაზე მარტო შენ არა ხარ, შეახსენებს, სხვებიც არიანო. ან — სხვისი იმედით ყოფნა არას გარგებს, წადი, შენც ცოტა ტვინი აამოძრავე, ხელები გაანძრიეო...

მადლობის სათქმელად მოსულთ ხმის ამოღებას არ დააცდის: ოჯახს მიხედეთ, ბავშვები გაზარდეთ, ჩემთვის გადახდილი მადლიეგ იქნებაო.

„მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ!“ — ასე ამბობდა ილიას გამორჩეული დედაკაცი.

ამბობენ: ნინო ჟვანია ქვრივ-ობლების დიდი ქომაგი და გამკითხავიაო. ასე მგონია — მოზარდების ბედ-იღბალზე ფიქრმა და ზრუნვამ გააჭაღარავა. ილიას ის ღვთისნიერი ქალიც ხომ ქვრივ-ობლების, და ყოველი გაჭირვებულის ქომაგი და გამკითხავი იყო.

ასე ვავლებ პარალელებს. ფიქრებს ვარ აყოლილი. ის კი, საქმეში გართული, ჩემთვის ვერ იცლის. შემოდიან თანამშრომლები წინადადებითა და პროექტებით. მერე ისევ მთხოვნელები, ისევ ტელეფონის ზარი...

— მემართა, ბატონო, მაგ ადამიანისა! — ვიღაცას უთხრა ტელეფონით ქალბატონმა ნინომ და მერე მომიბრუნდა: ვაღს გადახდა უნდა, ასე არ არის? — გამეღიმა და კინაღამ ვკითხე: ქალბატონო ნინო, ნუთუ მართლა რაიმე გმართებთ ვინმესი-მეთქი. მაგრამ თავი შევიკავე და პასუხს აჭაც ილიას ოთარაანთ ქვრივს დავესესხე: „მაშ არა-და, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი“.

მერე ჩემთვისაც მოიცალა. ცოტა ვისაუბრეთ.

დედაქალაქის მერის მოადგილემ თბილად მოიგონა ფოთი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ აქ მუშაობდა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. ფოთელებმა იგი დეპუტატად აირჩიეს. დღეს ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ მაშინ, ალბათ, რამდენმა თქვა — ქალის ამდენი სავაჟკაცო საქმე ვინ გაიგონაო. ილია კი ასე ათქმევინებს თავის გმირს: — „თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო... მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ოთხი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო“.

იყო დრო, როდესაც ჩვენში ერთადერთი დევიზი მოქმედებდა: „ყველაფერი ფრონტისათვის“. საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას თავისი წვლილი შეჰქონდა მტერზე გამარჯვებაში. გზავნიდნენ ამანათებს ფრონტზე, აგროვებდნენ სანკურნალო მცენარეებს, შეფობას უწევდნენ სამხედრო ჰოსპიტლებს, ჯარისკაცთა ოჯახებს. მათ წინამძღოლს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს სასკოლო ახალგაზრდობისა და პიონერთა მუშაობის დარგში — ნინო ჟვანიას დღე და ღამ არ ეძინა.

ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქალბატონი ნინო დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, არის აგრეთვე „წითელი ვარსკვლავისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენების, მრავალი მედლის კავალერი.

1945 წელს ნინო ჟვანიას აგზავნიან ლონდონში მსოფლიო ახალგაზრდობის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ კი ინდოეთში საბჭოთა დელეგაციასთან ერთად ესწრებოდა სამხრეთ აღმოსავლეთის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენციას.

თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდმა ქალბატონი ნინო ახალგაზრდობის საუკეთესო ქომაგად აქცია. შემდეგ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო თუ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, სამშობლოს ხვალინდელ ღიმილს ყოველთვის მფარველობდა.

ქალბატონი ნინო განსაკუთრებით კარგად იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც თბილისის ერთ-ერთი დიდი წარმოების, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორად მუშაობდა. ამ დროს ჩადგა ფაბრიკა რესპუბლიკის საუკეთესო საწარმოთა შორის. მისი კოლექტივი ყოველწლიურად გვრდამავალ დროშას იმსახურებდა და, რაც მთავარია, გაუმჯობესდა მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები. ასეულობით მუშამ მიიღო მაშინ საცხოვრებელი ბინა.

ამდენი საქმის პატრონი მაინც ახერხებს თავის „ჭკუაზე“ აღწადოს ქალიშვილები და ვაჟი. გულდაფაცებულია შვილებზე. დატუქსვაც იცის. ვანიკო, რომელიც ოთარაანთ ქვრივის გიორგივით თავზე ფრინველსაც არ გაიფრენს და ფეხ-ქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებს, დედას თავის დღეში არ შეუბრუნებს სიტყვას. დედა ყოველთვის მართალია და სიმართლის მოყვარული იზრდება ვანიკოც.

1964 წლის ივლისიდან ნინო ჟვანია თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა.

დედაქალაქის დიდი მოამაგეა ქალბატონი ნინო. რამდენი სიახლე ჩვენი თბილისისა, რომელიც ესოდენ გვიხარებს გულს, მისი ინიციატივით თუ ხელშეწყობით არის გაჩეთებული და აშენებული. მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ხომ მისი პირდაპირი საზრუნავია და განა ცოტაა ნინო ჟვანიას დამსახურება იმაში, რომ გასულ ორ წელიწადში 17 ათასმა ოჯახმა იზეიმა ახალსახლობა?

— ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო დამშვენდება თბილისი, — ამბობს ქალბატონი ნინო, — მთავარი ყურადღება კვლავ მშრომელთა კეთილდღეობას დაეთმობა. 44 ათასი ოჯახი იზეიმებს ახალსახლობას. ქალაქის სკოლებს 35 ათას 420 მოსწავლის ადგილი შეემატება. დიდძალი სახსრები მოხმარდება ჭინვალის წყალსადენის მშენებლობას, რაც თბილისის პერსპექტიული წყალმომარაგების ძირითადი წყაროა. დედაქალაქს დაამშვენებს ახალი უნივერსალური მაღაზია, სასტუმრო „აჭარა“, ახალი ხიდი მდინარე მტკვარზე, ავტოსატრანსპორტო გვირაბი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, საბაგირო გზა საბურთალოდან ღისის ტბამდე, საცურავი აუზი, საჭადრაკო და ალპინისტური კლუბები, კულტურის სახლი, 1100-საწოლიანი საავადმყოფო, ავტოვაგზალი მტკვრის სანაპიროზე, დამთავრდება „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, აეროვაგზლის ავტოსტრადის მეორე რიგი, გაგრძელდება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა საბურთალოს მიმართულებით...

ამდენი საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინება ბევრად არის დამოკიდებული მის მცდელობასა და უნარზე. დედაქალაქის მერის მოადგილეც შრომობს შეუპოვრად, დაუღალავად. არასოდეს ჰყოფნის დრო და მაინც ადამიანისათვის ყოველთვის მოცლილი და ყურადღებიანია.

ნინო ჟვანიას სახელს ყოველთვის პატივისცემისა და მადლობის გრძნობით იხსენებენ თბილისელები. ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე დიდ ხდომას უცხადებენ თავიანთ რჩეულს. აი ახლაც, 13 ივნისს, თბილისის 52-ე საარჩევნო ოლქში მშრომელები ხმას მისცემენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — ნინო ჟვანიას.

ამას წინათ ამომრჩევლები შეხვდნენ თავიანთ რჩეულს, მისი თითოეული სიტყვა ირწმუნეს, რადგან ილია ჭავჭავაძის ღირსეული გმირის ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, ამ ქალსაც ტყუილუბრალოდ ბაქიაობა და ლაპარაკი არ უყვარს. მისი სიტყვა და საქმე ერთია. და თუ საჭირო იქნება, რკინის ქალამანსაც ჩაიცვამს და რკინის ჯოხსაც აიღებს ხელში...

აკი დედაქალაქის მოამაგემ თავის ამომრჩევლებს მაშინ დიდი ილიას სიტყვებით მიმართა: „ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია. ყველანი, ვინც აქ ვშობილვართ, აქ ვცხოვრობთ — რა მილეთისაც გინდ იყოს ჯაცი, მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა. რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს, მოჯანმრთელდეს, რომ კეთილი დღე და დღე ემატებოდეს ჩვენს მშობელ ქალაქს“.


ჯემალ ჟურხული

ტურისტული გზებით

სტუმარ-მასპინძლობის ყადრი ოდითგანვე მოგვდგამს. საკი უთქვამთ ჩვენს წინაპართ — სტუმარი ღვთისააო. ქართველ კაცს სხვებთან სტუმრად წასვლაც გულს უხარებს — უცხოსა და საინტერესოს სანახავად ცხრა მთას, ცხრა ზღვას გადაივლის. სხვის მიწაზე გადადგამს თუ არა პირველ ნაბიჯს, შეაღებს თუ არა მასპინძლის კარებს, იტყვის, კმითილი იყოს ჩემი შვიდი თქვენს ოჯახშიო. კუბად არაფერს შეხედავს. მოსაწონს მოიწონებს, კაცურად ნათქვამს კაცურ სიტყვას მიაგებებს. გულს თუ ვინმე გაუხსნის, ძმად გაუხდება და შინ წაგოსვლის წინ აუცილებლად მოიპატიჟებს — საქართველოში მეწვიე, ახლა ჩემი მასპინძლობაც ნახეო...

ბოლო წლებში ბევრმა ქართველმა იხილა „უცხო და საამოდ საჭვრეტი ქვეყნები“. წლეულსაც ბევრი ემზადება უცხოეთში სამოგზაუროდ. საზღვარგარეთ საბჭოთა ადამიანების მოგზაურობის მრავალი არსი არსებობს: „ინტურისტი“ თუ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, სპორთა შორისო ახალგაზრდობის ტურიზმის ბიურო „თანამგზავრი“ თუ სპეციალური და შემოქმედებითი მივლინებები და, ბოლოს, ყველაზე მასობრივი, ყველასათვის ხელმისაწვდომი — პროფკავშირული საგზურები.

იმ ტურისტულ გზებზე, ჩვენებური კაცს მსოფლიო რომ მოატარა და მომავალშიც ბევრ საინტერესოს ჰპირდება, დღეს გვესაუბრება პროფსიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ოთარ ცანავა.



— რომელ ქვეყნებში იყვნენ ქართველი ტურისტები ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განძილზე?

— დღეს ჩვენში ტურიზმმა ისეთ ფართო ხასიათი მიიღო, მისი მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ორი-სამი წლის მონაცემების შეჯამება ბევრ დროსაც წაგვართმევს და სიტყვასაც გაგვგრძელებს. მოდით, დავჯერდეთ შარშანდელი ტურისტული სეზონის მიმოხილვას. დავიწყოთ იმით, რომ 1970 წელს პროფკავშირის ტურისტული საგზურით საზღვარგარეთ იყო თითქმის ექვსი ათასი კაცი. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს მასპინძლობდა საფრანგეთი და ჩეხოსლოვაკია, იაპონია და ბულგარეთი, იტალია და პოლონეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და რუმინეთი, ფინეთი და უნგრეთი, ინდოეთი და ავსტრია, კუბა და მექსიკა, დასავლეთი აფრიკა და ირანი...

— რა პრინციპით ხდება საზღვარგარეთ მიმავალი ჯგუფების დაკომპლექტება?

პრინციპი ერთია — ჩვენს მიერ შეთავაზებული სხვადასხვა მარშრუტიდან თითოეულმა ამორჩიოს მისთვის ყველაზე საინტერესო. მაგალითად, ფინეთში ძირითადად იყვნენ საფეიქრო მრეწველობის მუშაკები, რომლებიც გაეცნენ ტამპერესა და ლახტის სამკერვალო ფაბრიკების მუშაობას, პოლონეთში, უნგრეთსა და იუგოსლავიაში ითგზაურეს (რა თქმა უნდა, ძირითადად) მაღაროს მუშებმა და ინჟინრებმა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუშები საგზურის ღირებულების მხოლოდ 50 პროცენტს იხდიან. იტალიას ეწვივნენ სარკინიგზო ტრანსპორტის პროფკავშირის მუშაკები. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა კი იუგოსლავია მოინახულეს. ასეთ ჯგუფებს ჩვენ სპეციალიზებულ ჯგუფებს ვუწოდებთ და მათ, როგორც წესი, ცალკეული სამინისტროები, უწყებები აკომპლექტებენ. სპეციალური ტურისტული ჯგუფები იყვნენ აგრეთვე საფრანგეთში სავაჭრო-სამრეწველო გამოფენისა და ქართული კულტურის დღეებში.

— თუ გზავნით საზღვარგარეთ დამოუკიდებელ ჯგუფებს რაიონებიდან?

საზღვარგარეთ წასვლა, მოგზაურობა ბევრად უფრო საინტერესოა, როდესაც შენთან ერთად იმყოფებიან შენი მეგობრები, ამხანაგები, ადამიანები, რომლებსაც ახლო იცნობ. მოგეხსენებათ, უშუალო, მხიარული ატმოსფერო ძალზე უწყობს ხელს დასვენებას, ადვილად ასატანს ხდის მოგზაურობას. შარშან საზღვარგარეთ იყვნენ ტურისტული ჯგუფები ყვარლიდან, ხაშურიდან, სამტრედიიდან, წყალტუბოდან, წალენჯიხიდან, თეთრი წყაროდან, ზუგდიდიდან, ასპინძიდან, ახალქალაქიდან, ტყიბულიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან...

— როგორ ვითარდება ავტოტურიზმი?

— ახლა, როდესაც ინდივიდუალური ავტომანქანები ასე მომრავლდა, ავტოტურიზმი სულ უფრო პერსპექტიული ხდება. შარშან თითქმის 200 კაცი გაემგზავრა საკუთარი მანქანით საზღვარგარეთ. ეს ციფრი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

— რადგანაც მომავალი ახსენეთ, საინტერესოა, რას ჰპირდებით 1971 წლისათვის მოგზაურობის მოყვარულთ?

წლეულს ტურისტები იმოგზაურებენ ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავსტრიაში, ინდოეთში, ავღანეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, კორეაში, ფინეთში... დღეისათვის ტურისტების ერთი ჯგუფი გემი „შოთა რუსთაველით“ მოგზაურობს ევროპის გარშემო.

როგორც აღვნიშნეთ, კიდევ უფრო მასობრივი გახდება ავტოტურიზმი. მოგზაურობის ბევრი მოყვარული საზღვარგარეთ გაემგზავრება ინდივიდუალური ტურისტული საგზურით.

დასასრულ მოგზაურობის მოყვარულთ მინდა ერთხელ კიდევ გეუთხრა — მობრძანდით, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მრავალი ტურისტული მარშრუტიდან აირჩიეთ თქვენთვის ყველაზე სასურველი, ყველაზე საინტერესო!

ქარზე დააკაკუნეს.

— ვინ არის?

— ჩვენა ვართ, ქართველები...

ქართველები! გახარებულმა გავაღე კარი და სტუმრები ოთახში შემოვიპატიჟე.

სტუმარი ჩემი ერის კაცს ყოველთვის ესიამოვნება, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით გავიხარე.

გავიხარე იმიტომ, რომ საკუთარ ოჯახში, თბილისში კი არა, საქართველოდან დაშორებით, ეგვიპტეში, კაიროს სასტუმრო „ჩილში“ ვიმყოფებოდი.

ჩემი სტუმრები კაიროში მომუშავე ქართველები აღმოჩნდნენ — მუსიკოსი თამაზ გომელაური მეუღლითურთ და ინჟინერი ალექსანდრე ჭარსალაძე.

სალაპარაკო და სათქმელი ბევრი აღმოგვაჩნდა. მე თბილისური ამბები გუამბე, მათ ეგვიპტეში მუშაობის შთაბეჭდილებანი გამიზიარეს. განსაკუთრებით კაიროს ეროვნულ კონსერვატორიაში ჩვენი თანამემამულეების საქმიანობამ დამაინტერესა. აი რა მიამბო თამაზმა ამის თაობაზე:

— დიდი ხნის ისტორია როდი აქვს კაიროს კონსერვატორიას — 1959 წელს შეიქმნა მხოლოდ. ამის მიუხედავად, დღეს იგი ერთ-ერთი საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელია არაბეთში. ამ კონსერვატორიის პირველი რექტორი იყო აბუბაქრ ქაირათი, ცნობილი ეგვიპტელი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც შემდეგ იტალიელმა კომპოზიტორმა ცეზარე ნორდიომ შეცვალა. 1967 წლიდან კონსერვატორიას სათავეში ჩაუდგა ჩვენი თანამემამულე პროფესორი ირაკლი ბერიძე. მასთან ერთად ეგვიპტელი ახალგაზრდების მუსიკალურ აღზრდაში დიდი როლი შეასრულეს ცნობილმა ქართველმა მუსიკოსებმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ლუარსაბ იაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დავით ბადრიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ალექსანდრე ჩიჯავაძემ, ახალგაზრდა მუსიკოსმა თამაზ გომელაურმა, კონცერტმაისტრებმა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ეთერ ჰაპაშვილმა და ელენე დვალმა, თბილისელმა მუსიკოსმა ედუარდ მირზოიანმა.

აი რას წერდა დოქტორი ჰუსეი ფაუზი გაზეთ „ალაჰრამში“: „მოვიდა დიდი მეგობრული ქვეყნის წარმომადგენელი ბატონი ბერიძე ჩვენთან და ინსტიტუტი კრიზისისგან იხსნა. მან და მისმა საბჭოთა კოლეგებმა თან მოიტანეს დიდი გამოცდილება, ღრმა ცოდნა და მტკიცე დისციპლინა... გაოცებული დავრჩი, როცა მის სტუდენტებს მოვუსმინე. პროფესორმა მათ იმდენი მისცა, რაზეც ვერც კი ვიოცნებებდით. ეს პირველი შემთხვევაა ეგვიპტეში. მადლობის მეტი რა გვეთქმის“.

— მაინც რა გააკეთეთ ქართველმა მუსიკოსებმა ასეთი?

— ვეკითხები თამაზს.

— მხოლოდ ის, რაც ჩვენს წმინდა მოვალეობად დავისახეთ — აღვზარდოთ რაც შეიძლება მეტი ეროვნული მუსიკალური კადრი. შედეგსაც არ ვემდურით. ირაკლი ბერიძისა და ალექსანდრე ჩიჯავაძის სტუდენტებმა — ვიოლინოსა და ჩელოს დაყოფილების ახალგაზრდებმა უკვე რამდენიმე კონცერტი გამართეს და აღიარებაც მოიპოვეს. აღბათ იცით, ვოკალურ კათედრას რამდენსამე წელიწადს დავით ბადრიძე განაგებდა. მისი ხელმძღვანელობით 1968 წელს, პირველად ეგვიპტის ისტორიაში ადგილობრივი ძალებით დაიდგა პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანი“, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა.

აქაური პრესა, რადიო, ტელევიზია ხშირად ეხმაურება ჩვენს მოღვაწეობას. ყველგან, ყოველ ნაბიჯზე გვგრძნობთ არაბი ხალხის სიყვარულს, რასაც ჩვენც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვუპასუხებთ.

აი რას სწერდა რამდენიმე ხნის წინათ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრს ეკატერინე ფურცევას: „...მინდა მოგახსენოთ კაიროს კონსერვატორიის რექტორის ბატონ ირაკლი ბერიძის თითქმის ჯადოსნური არტისტული და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. ყოველგვარ სიკეთეს ჩვენ მას და მის საბჭოთა კოლეგებს უნდა ვუმადლოდეთ. ამ ცოტა ხნის წინათ ბედნიერება მქონდა დავსწრებოდი მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტთა კონცერტს, რომელსაც ბატონი ირაკლი ბერიძე ხელმძღვანელობს. დავრწმუნდი, რომ მან ნამდვილი რეფორმა მოახდინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდა მუსიკალური ცხოვრების სტრუქტურაზე“.

ეგვიპტეში საგასტროლოდ ჩამოდიან თბილისელი მუსიკოსებიც. მაგალითად, კაიროს ათასი წლისთავზე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი, რომელშიც ქართველი მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ: სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი, სოლისტი იყო რესპუბლიკის სახალხო არტისტი მარინე იაშვილი. ქართველი მუსიკოსების გამოსვლამ ტრიუმფით ჩაიარა.

საუბარს გვიანამდე შევყევით. თამაზმა მითხრა, ხვალ დილით პროფესორი ირაკლი ბერიძე აპირებსო თქვენთან შეხვედრას. ამ საღამოს ლექციები ჰქონდა და ამიტომ ვერ შეძლო ჩვენთან წამოსვლაო.

მეორე დღეს ბატონ ირაკლისთან, მის მეუღლე ქალბატონ რომასთან, ქალბატონ ეთერ ჰაპაშვილთან ისე გავერთე საუბარით, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. ეს იყო საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წინადღეებში და ბატონ ირაკლის მივმართე:

— საქართველოს ყველაზე საზეიმო წუთებში თქვენ სამშობლოდან დაშორებით იქნებით. ალბათ, გული გწყდებათ, მონაწილეობას რომ ვერ მიიღებთ ამ დიდ ზეიმში.

— რასაკვირველია, ეს ჩვენთვის, „კაიროელი ქართველებისათვის“, ძალზე გულდასაწყვეტია. მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ამას წინათ კაიროს ეროვნულ კონსერვატორიაში უკვე ვიზეიმეთ ეს სასახელო თარიღი. საღამოზე მოსულ საზოგადოებას წავუკითხე მოხსენება — „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი“, ხოლო თამაზ გომელაურმა ზეიმის მონაწილეებს ქართველი და არაბი ხალხების ისტორიული კავშირები გააცნო.

საკონცერტო განყოფილებაში ყველა „კაიროელი ქართველი“ ვმონაწილეობდით: ეთერი, ელენე, თამაზი, ედუარდი, მე. შევასრულეთ ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძის, რევაზ ლაღიძის, შალვა თაქთაქიშვილისა და სხვა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

განსაკუთრებით საზეიმოდ აღუნიშნავთ ჩვენი რესპუბლიკის იუბილე ქალაქ ალექსანდრიაში. აქ, საბჭოთა კულტურული ცენტრის სასახლის შენობაში გაიხსნა დიდი ფოტოგამოფენა „საქართველოს რესპუბლიკის მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის დარგში 50 წლის მანძილზე“. სტუმრები მეტად საპატიონო

ქართველები ეგვიპტეში

ყოფილან — ალექსანდრიის მთელი დიპლომატიური კორპუსი, არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო მოღვაწეები.

კაიროს ტელევიზიამ ძალზე საინტერესო და ვრცელი გადაცემა მიუძღვნა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. ირაკლი ბერიძემ შეასრულა რამდენიმე ნაწარმოები კონცერტმაისტერ ეთერ ჰაპაშვილთან ერთად.

— კიდევ რა იყო ღირსშესანიშნავი წლევანდელ სასწავლო წელს კონსერვატორიის ცხოვრებაში?

— დეკემბერში გვქონია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ანვარ სადათი. მან მოისმინა კონსერვატორიის მოსამზადებელი განყოფილების მოსწავლეთა კონცერტი და განაცხადა: ამ კონსერვატორიაში 7 წლის წინათ ვიყავი. მაშინდელთან შედარებით ისეთი განსხვავებაა, როგორც დღესა და ღამეს შორისო...

აი რას წერდა გაზეთი „ალ-აჰრამი“ მეორე დღეს პრეზიდენტის ამ დარბაზობის შესახებ: „პრეზიდენტმა 2 საათზე მეტი დაჰყო კაიროს ეროვნულ კონსერვატორიაში. მოსწავლეთა კონცერტის მოსმენის შემდეგ, რომელმაც მასში აღფრთოვანება გამოიწვია, კონსერვატორიის რექტორის — ირაკლი ბერიძის კაბინეტში კულტურის მინისტრ ბადრ ელ დინ აბუ დაზისთან ერთად ითათბირა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარების საკითხებზე“.

და კიდევ ერთი — სტუდენტთა კამერული ორკესტრის ჩამოყალიბება, რომელსაც თამაზ გომელაური ხელმძღვანელობს, ნამდვილად დიდი მოვლენაა კაიროს კონსერვატორიის ცხოვრებაში. მის პირველ გამოსვლას დიპლომატიური კორპუსისათვის გამართულ კონცერტზე „საიდ დარვიშის დარბაზში“ უდიდესი წარმატება ხვდა. ასევე წარმატებით გამოვიდნენ ირაკლი ბერიძისა და ალექსანდრე ჩიჯავაძის კლასების სტუდენტები — ჰასან შარარა და მუსტაფ ნაგი კაიროს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ქართველმა პედაგოგებმა და მათმა სტუდენტებმა დიდი საიუბილეო კონცერტი გამართეს აგრეთვე კაიროს ოპერის თეატრში ბეთჰოვენის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით.

— ბატონო ირაკლი, თბილისიდან თქვენმა მეგობრებმა, კერძოდ, სულხან ცინცაძემ დიდი მოკითხვა დაგვაბარა, თან შემოგვთვალათ: გეყოთ უცხოეთში ყოფნა, დროა სამშობლოში დაბრუნდეთო.

— სამშობლოში დაბრუნებას რა სჯობია, მაგრამ რადგან ასეთი საპატიო მისია გვაქვს დაკისრებული, გვინდა საქმე ბოლომდე მივიყვანოთ — დავეხმაროთ მეგობარ ქვეყანას მუსიკალური კადრების აღზრდაში. ამიტომ, ნუ შემოგვწყრებიან თბილისელი მეგობრები, თუ ჩვენი ეგვიპტეში ყოფნა კიდევ რამდენიმე ხნით გაგრძელდება...

ლია მიქაძე,
კაირო-თბილისი.



სურათზე: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე პრეზიდენტი ჰუსეინ აშშაფი სტუმრად ქართველ მუსიკოსებთან. მარჯვნივ — ირაკლი ბერიძე.

ჭართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებებმა კიდევ ერთი აღიარება პოვეს — დიდი ზეიმის დღეებში საამოვნებით შევიტყეთ, რომ კალმის დიდოსტატს „კოლხეთის ცისკრის“, „სანაპიროს“, „მწვანე ღილის“, „უსახელო მაღლობისა“ და სხვა ნაწარმოებთა ავტორს **რუსთაველის პრემია** მიენიჭა.

თითქმის ორმოცდაათი წელი-წადი გვაშორებს იმ დღეს, როცა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ალმანახ „დარიალში“ თავისი პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა, ამ ხნის მანძილზე მწერლის შემოქმედებაში ნათლად და პირუთვნელად აისახა ეპოქის სინამდვილე, რომელიც მისი ცხოვრების ნაწილია.

აკი წერდა პარიზის გაზეთი „ლუმანიტე“ „კოლხეთის ცისკრის“ ფრანგულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით: „ეს შესანიშნავი რომანი ალადგენს საბჭოთა კავშირის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს და ვისაც სურს გაეცნოს ამ ისტორიას, უთუოდ უნდა წაიკითხოს „კოლხეთის ცისკარი“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ომის თემას. ეს არც არის გასაკვირი, მწერალი ხომ კავკასიის დაცვის დიდი ეპოპეის უშუალო მონაწილეა.

მოთხრობების უმეტესობას, რომლისთვისაც ავტორს ესოდენ დიდი ჯილდო მიეკუთვნა, ამ ომში ჭართველ ვაუკაცთა გმირობა დაედო საფუძვლად.

მწერლის თვალით ნანახი და განცდილი, ასე რომ იწამეს და შეიყვარეს მკითხველებმა, ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ ამ დღეებში, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს **ალექსანდრე ფადეევის** სახელობის პრემია მიენიჭა. გთავაზობთ მწერლის ერთ-ერთი პრემირებული მოთხრობის ნაწყვეტს.

სიკვდილი

ცოტას ემიცდის

გზა ჩადიოდა, როდესაც სანიტარულმა ლინეიკამ ხრიგინით ჩაათავა კიდევ ერთი დალმართი და ალიზის გალავანთან გამაჩერა.

არ მეგონა, აქაური თათრები თუ ასეთი კარჩაკეტილი ხალხი იყო. მომკლა კაცი ამ ციხე-გალავნიანი სახლების წინ ყურყუტმა, როდის გამომხედავს მასპინძელი ფანჯრიდან და სალმე გადახურულში ღამეს გამათევინებს.

მე შენ გეტყვი, ფეხის წვერებზე შედგები და ეზოში გადაიხედავ, რომ ვინმე დაინახო და ხმა გააგონო. გალავანი ჩემზე ბევრად მაღალია. ქუჩიდან მხოლოდ სახლის სახურავი მოსჩანს.

იმ დღეებში ჩვენი რედაქცია პირველ ეშელონს ჩამორჩა, ამიტომ სანამ ბრძოლის უბანს მოვიცილიდი, მასალებს შევკრებდი და რედაქციაში დავბრუნდებოდი, გზაში ხშირად მაღამდებოდა.

დაღამებულში კი სამხედრო მანქანა მამალმერთს არ გაუჩერდება, არამცთუ გზაში ჩარჩენილ კორესპონდენტს... ღამე სადმე სოფელში უნდა გამეთია. გაზაფხულზე ყირიმში ძალიან ბნელი ღამეები იცის. ჩვენში ასეთ ღამეს ლეკის ღამეს ეძახიან. თითქმის მთელი გალავანი ხელის ფათურით უნდა შემომეკლო, რომ სადღაც კედელში დატანებული ჭიშკარი მეპოვნა და ეზოში შევსულიყავ.

დღეს კი ამ ლინეიკამ მიშველა. დღისით-მზისით სოფელში ჩამომიყვანა და ღამე ხეტიალს გადამარჩინა.

ჭიშკარი შევაღე.

შუა ეზოში ალიზის სახლი იდგა, ძალიან დაბალი და უშნოდ წაგრძელებული. სახლის უკან პატარა ბაკი და სასიმინდე დავინახე, იქვე ერთადერთი ალუბალი ჰყვაოდა და ამ საცოდავ ეზო-კარს რაღაც სიკეთეს ჰფენდა.

არც ბალახი, არც ყვავილი ან სხვა რამე ნარგავი, მთელი ეზო ისე იყო დატკეპნილი და მოსწორებული, იმერეთში სოხანებს რომ აკეთებენ.

ამ სოხანეზე ახლა ათიოდე ჯარისკაცს ეძინა. სასუმლის გაწყობა ვერ მოესწროთ, ზოგს საყელოც კი ვერ გაეხსნა, პირდაპირ მიწაზე დაყრილიყვნენ და საღათას ძილს მისცემოდნენ.

მხოლოდ ორ კაცს არ ეძინა. ერთი, წითური ბიჭი, ალუბლის ძირში ურიკაზე ჩამომჯდარიყო და ვახშმობდა. კონსერვის ქილიდან დანის წვერით ხორცის ნაჭერს რომ ამოიღებდა, ქონს ფრთხილად შემოაცლიდა და იქვე დაუსუქებულ ლეკვს გაღაუგდებდა. ფაქიზად სჭამდა. აუჩქარებლად, თანაც ეტყობოდა, საღეჭი კბილები აკლდა: ჭამის დროს ტუჩებს რაღაც არაბუნებრივად აცმაცუნებდა.

მეორე ჯარისკაცი უფრო ხნიერი სჩანდა. მისი ჭაღარა თავი და ნაოჭშეყრილი პირისახე მოწმობდა, რომ შუახანს მიღწეული კაცი იყო. სახლიდან რაღაც ტყაპუჭი გამოიტანა და ჭიშკართან მიგდებულ ჯარისკაცს დაახურა. მერე ეზოში მოიხედ-მოიხედა. ეტყობა, შეამოწმა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. რაღაცა არ მოეწონა, სასიმინდესთან მივიდა და იქ ჩალაზე გულაღმა გაშხლართული კაცი გვერდზე შეაბრუნა.

ჯერ გამივირდა, მერე კი მივხვდი, რატომ შეაბრუნა: ის კაცი ძილში იხრჩობოდა, მკერდზე ძილის მაჯლაჯუნა დასწოლოდა და ვეღარ სუნთქავდა, სული ეხუთებოდა.

შორიდან ზარბაზნების გრუხუნი რომ არ ისმოდეს, კაცი იფიქრებდა, ამ თათრის ეზოში ნაქეიფარი ხალხი მიყრილ-მოყრილა, მასპინძელი კი სტუმრებს თავს დასტრიალებს, აქაოდა ხალხი შიშველ მიწაზე არ გამიცივდესო.

— ათმეთაურიც ასეთი უნდა! — ვთქვი მე.

— ჩვენი ათმეთაური აგერ იქ არის! სედავ?

— მითხრა წითურმა ბიჭმა.

სახლის კედელთან სკამფიცარი იდგა და ზედ ისე საცოდავად მოკუნჭულიყო ზორბა ტანის სერჟანტი, რომ პირველად შემეშინდა: ეს კაცი ერთი რომ გაინძრეს, მიწაზე ბრაგვანს მოადენსმეთქი. მაგრამ ვისაც უნახავს, თუ როგორ სძინავს დაღლილ ჯარისკაცს, იგი დამეთანხმება, რომ ამ სერჟანტს ახლა არაფერი მოეწყინოდა, თუნდაც მთელი ღამე ამ ვიწრო ფიცარზე წოლილიყო.

— აბა ეგ ვინ არის?

წითურმა ბიჭმა ტუჩები მობრიცა.

— არამკითხე მამობილი... სხვა ვინ იქნება! ჭკუის დამრიგებელი სკოლაში მეზარებოდა, ახლა აქ არ გამომიჩნდა ეს ოჯახქორი?! იონა! — დაუძახა მან ხნიერ ჯარისკაცს, — მართალი ვარ, ხომ?

— რაში ხარ, ბიჭო, მართალი! ამ ოქროსავით ხორცს ძაღლს რომ აჭმევ? — უთხრა იონამ.

წითურმა ბიჭმა გაიცინა.

— ა, ბატონო, ჯომ გითხარი! ენას არ მოაბრუნებს, რაიმე შემჩნევა არ მოგცეს.

იონა მებუკე ორმოცდაოთხი წლის კაცი იყო, მაგრამ შესახედაობა მეტისა ჰქონდა. თანაც ძალიან მოშვებული სიარული იცოდა, თითქოს დიდი გზა გამოუვლია და მუხლში ძალა გამოლევიაო. ასე სჩანდა ერთი შეხედვით, ნამდვილად კი ძალიან ამტანი კაცი გამოდგა.

ვინ არ იცის, ყველაზე მეტად რა ეძნელება ჯარისკაცს: გუშთავებული წანწალი პოზიციიდან პოზიციამდე, როდესაც გგანია სიცხეში ოცი და ოცდახუთი კილომეტრი ფეხჩაუკრეფლად უნდა გაიარო მთელი შენი საჭურველითა და საბადებლით.

ხშირად ჯეელი ბიჭებიც ვერ უძლებენ ამ ჭაპანწყვეტას და ნირი წაუხდებათ ხოლმე. იონა მებუკე კი თავს რომ დაადებდა მტვრიან შარაგზას თუ ჭაობიან ბილიკს, მერე ნაბიჯს არ შეშლიდა, სანამ ბანაკად არ დადგებოდნენ.

ამავე დროს მისი ჩანთა ყველაზე მძიმე ჩანთა იყო ათეულში. რანაირი წამალი არ გინდა, რამდენი სანიტარული პაკეტი, რაღაც თასმები და ბალთები, თამბაქო, დილები, ნემში და ძაფი, ჭიდაღდი და ფანჯარი — რა ვიცი, რას არ იპოვნიდა კაცი იონა მებუკეს ჩანთაში. ყველაფერი ჰქონდა, რაც საწყალ ჯარისკაცს დღეში ათჯერ დასჭირდება ხოლმე. თუმცა თვითონ იონა არც თამბაქოს ეწეოდა და არც ავადმყოფი უნახავს ვინმეს.

ის იყო მთელი ათეულის ძიძაცა და პატრონიც. ძიძა კი ბევრს არ უყვარს. ერთმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა შემომჩივლა, ეს არამკითხე მამობილები ყელში ამომივიდაო, მაგრამ ისინი რომ არა, რამდენი ჯეელი ბიჭი აღბათ ჯარისკაცად ვერ ივარგებდა და იქნებ შინ ცოცხალიც ვეღარ დაბრუნებულიყო.

და ეს მოთხრობაც სწორედ იმიტომ დაიწერა, რომ ერთი ასეთი „არამკითხე მამობილი“ იონა მებუკე გავაცნო მკითხველს.

ავი ზღვიდან მდინარე ყუბანის შუაწელამდე გადაჭიმულ ციხე-სიმაგრეს გერმანელებმა „ცისფერი ხაზი“ უწოდეს.

ცისფერი უწოდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი დოტები, ძელმიწურები, ჯავშნიანი ხუფები და ესკარპები ცისფერ ტბებსა და ლიმანებს გასდევდა.

ამ სასელს სხვა ელფერიც ჰქონდა, თავისებური პატარა ქვეტექსტი.

ცისფერი ძველთაგანვე იმედისა და ნუგეშის ფერად იყო მიჩნეული. გერმანელები დიდ იმედს ამყარებდნენ „ცისფერი ხაზის“ ბასტიონებზე. გენერალ კლიუგეს სჯეროდა, კავკასიონის უღელტეხილებზე დამარცხებული ედელვეისის ბატალიონები მშვიდად გამოიზამთრებდნენ „ცისფერი ხაზის“ გადაღმა და გაზაფხულზე ისევ ეკვეთებოდნენ კავკასიონს.

მტერმა მართლაც არაფერი დაზოგა, რომ ეს რაიონი სანაქებოდ გაემაგრებინა.

მე მინახავს „ცისფერი ხაზის“ რამდენიმე უბანი და უნდა გამოვტყდე, არ მეგონა, კავკასიონიდან უკუქცეულ მტერს იმდენი ძალა თუ კიდევ შესწევდა, რომ ხუთასორმოცი კილომეტრის სიგრძეზე ასეთი ციხე-სიმაგრე აეგო. მაგრამ ჩვენმა სარდლობამ სული არ მოათქმევინა გერმანელებს. „ცისფერი ხაზის“ სიმაგრეებს ერთიმეორეზე უკეთესი მზვერავები დაესივნენ. ისინი დღე და ღამე უთვალთვალებდნენ „ცისფერი ხაზის“ ზღუდეებს და მისი საცეცხლე ჭსელის რუკას ადგენდნენ.

ერთი უბანი ქართველ მზვერავებსაც მიუჩინეს. ორი კაცი, იონა მებუკე და გური არდაშელია მთელი ერთი კვირა პატარა გორაკზე ისხდნენ და გერმანელებს თვალყურს ადევნებდნენ.

თუ გიორგი მუმლაძეს ხოხვის მომგონს ეძახდნენ, იონა მებუკემ ჩინებული შეინიშნება იცოდა.

— მინდორზე ღრუბლის ჩრდილის მეტი რომ არაფერი იყოს, იონას ისიც კი ეყოფა, უჩინარი გახდესო, — მითხრა ერთხელ კაპიტანმა გელოვანმა.

იონამ და გურიმ ისეთი ადგილი შეარჩიეს, მხოლოდ არდაშელია უნდა ავიდეს. იონა კი ფერდობზე იტრიალებს, რომ გაჭირვების დროს ამხანაგს მიეშველოს და უკან დასაბრუნებელი გზა გაუწმინდოს.

წინ ყველაფერი სდუმს. მხოლოდ დროდადრო მელნისფერ ცაზე პარაშუტიანი მაშხალა გაიშლება და ისეთი მკვდარი სინათლით გაანათებს იქაურობას, რომ თვალის გახელა გეზარება.

პარაშუტი ნელ-ნელა ეშვება დაბლა და სანამ არ ჩაქრება, მიწაზე გაუნძრეველად უნდა ეგდო და გულში ილოცო: ღმერთო, კუნძად მაქციე ან აგერ ამ ქვას დამასგავსეო...

ასეა, რას იზამ!

სადაც ის ჯოჯოხეთის მუგუზალი მოგისწრებს, მიწას იქვე უნდა დააკვდე — შენი სუნთქვა ბალახმა არ უნდა გაიგოს... და იონაც ასე იქცეოდა: თვალს არ დაახამხამებდა, ვიდრე ის ფერდობი ბნელში არ გაეხვეოდა.

ხანდახან მიწაზე ყურს დაადებდა. ხახუნი ისევ ისმოდა, ეტყობოდა, არდაშელია დიდი გაჭირვებით მიიწევდა წინ. მაშხალები რომ არა, აქამდე კიდევ გასცდებოდა მჭრის საყურეს და ტყვე შეერეოდა. ახლა კი ვინ იცის, როდის გადაივლიდა ამ ფერდობს.

მაშხალები გახშირდნენ, ხან სამი, ხან ოთხი პარაშუტი ერთად გაიშლება იონას თავზე და გულგახეთქილმა კაცმა უკვე აღარ იცის, სად ჯანდაბაში წაიღოს თავისი ხელ-ფეხი, თავისი სხეული, რომელსაც ახლა მთელი გერმანია დაეძებს, რომ დაფლითოს და მიწაში აზილოს...

„ცოტახანს სადმე უნდა შევიცადო!“ — გაიფიქრა იონამ.

პატარა ორმო იპოვნა, შიგ ჩაძვრა, დაბეგვილ იდაყვებზე ხელი მოისვა და გაყურჩდა.

ზემოდან წყლის თქიშინი მოისმა, მერე ამ ხმას სტვენა შეერთა... ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ იონამ ვერ მოითმინა და ორმოდან ამოიკვრინტა.

იქვე ბრეზენტი გერმანელი ჯარისკაცი იდგა და შარდავდა. თან რაღაც ნაცნობ მელოდიას უსტვენდა. მგონი, ტორეადორის მარში იყო, ისე არსებითად უსტვენდა, თითქოს ყველა დარდი და საზრუნავი მოლეწილი ჰქონდა.

ჯარისკაცმა შარვალი შეიკრა, მერე სტვენა-სტვენით ქალრიდან აუჩქარებლად ხასტარიანი გრანატი მოიხსნა და რაღაცას დაუმიზნა.

რაღა რაღაცას! იონამ ცხადზე უცხადესად დაინახა, რომ ჯარისკაცმა ნაბიჯი წინ გადმოდგა და რატომღაც მისი ორმო ამოიღო ნიშანში, სწორედ იმ ადგილს დაუმირისპირა გრძელტარიანი გრანატა, სადაც იონა მებუკე მოკუნჭულიყო.

„დამინახა, თუ რა მოელანდა!“

არ დასცალდა იონას ამის გამორკვევა.

ჯარისკაცმა გრანატა მოიქნია და ისროლა. ელდანაცემმა იონამ ისღა მოაწრო, ორმოში უფრო ღრმად ჩაცურდა და გაინაბა.

გრანატა ორმოს პირზე დავარდა, ცოტაზე ჩამოგორდა და რაღაცას წამოეჭდო... იონას გული გაუჩერდა აფეთქების მოლოდინში, ნამდვილად გაუჩერდა — კაცმა ვერც სული მოითქვა და ვერც ხელი გაანძრია რომ თავი მაინც დაეფარა. ხელი რაღას უშველიდა. მაგრამ იონამ ესეც კი ვერ შეძლო... კაცი გათავდა ერთი გათავება.

ახლა იონას უკვე აღაფერი აღარც ეკითხებოდა და აღარც ემორჩილებოდა.

მერე ერთბაშად გული ისევ ამუშავდა. ჯერ ნელა შეირხა საგულეში, შეირხა და გაჩერდა, შეირხა და გაჩერდა. მერე თანდათან მოუხშირა ფეთქვა და სანამ გონებას ეს სასიხარულო ამბავი მისწვდებოდა, იონა მებუკეს ტანმა უაზრა, გრანატი არ აფეთქდაო... არ აფეთქდაო. არ აფეთქდაო!

„არ ვყოფილვარ შენი წერა!“ — გაიფიქრა იონამ და ორმოდან ისევ ამოიხედა.

გერმანელი იქვე იდგა, ოღონდ ახლა გვერდზე მიბრუნებულიყო და ვიღაცას ულაპარაკებოდა, ვის — არა სჩანდა. ყველაფერზე ეტყობოდა არც არა დაუნანავს, არც არა მოლანდებია, თორემ ასე მშვიდად რა გააჩერებდა!

იონა მიხვდა, ამ კაცმა ახლა ეს გრანატი თავშესაფრად ისროლა, გართობა უნდოდა... ასე იცის ზოგიერთმა გუშაგმა — სიჩუმე და მარტოობა რომ მოსწყინდება, ხან თოფს დასცლის, ხან კიდევ ხელის ყუმბარას ააფეთქებს და ღამეს შეესიანება.

კაცია და გუნება!

მადლობა ღმერთს, რომ გრანატი არ აფეთქდა და იონა ბეწვზე გადარჩა. „არ ვყოფილვარ შენი წერა!“ — ისევ გაიფიქრა მებუკემ და ისევ წამს კინაღამ ზეზე წამოიჭრა, ისევ რამ დაინახა.

ჯარისკაცმა ჭამრიდან მეორე გრანატი მოიხსნა და ისევ იმ ორმოს დაუმიზნა, სადაც წეღან ხელი მოეცარა.

ერთმა რომ უმტყუნა, მერე, რა თქმა უნდა, მეორეც უნდა გაესინჯა, იქნებ ესეც უვარგისი შეხვდა — ეს ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, ვინც ახლა ამ სინჯვა-ცდისა და თავშექცევის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.

განა მეორე გრანატიც ასევე ჩუმად ჩაგორდება ორმოში! იარაღმა ორჯერ მტყუნება არ იცის...

ერთი რამ დარჩენია იონა მებუკეს — დაასწროს და ესროლოს ამ მოცილე გერმანელს... მხოლოდ ამით შეიძლება თავი გადაარჩინოს. მხოლოდ ამით! მაგრამ ეს ფიქრი მაშინვე უკუაგდო იონამ.

გერმანელი ჯარისკაცი მარტო რომ იყოს, კიდევ კარგი — თოფს ესვრის და გრანატას ხელიდან გააგდებინებს...

სამწუხაროდ, იგი წეღან ბრეზენტის გადაღმა ვიღაცას დაელაპარაკა. მაშასადამე, სროლა არ შეიძლება. ის ერთი ტყვია იონას კი უშველის, მაგრამ არდაშელიას მახეში გააბამს. ატყდება განგაში და ყველაფერი გამოაშკარავდება. საყურეებში ჩამჯდარი გერმანელები ხელად იპოვნიან მათ ფარგლებში შეჭრილ არდაშელიას. ისიც დაიღუპება და საქმეც ჩაიშლება.

ამ ფიქრსა და ურვას ერთი წამი მოანდომა იონამ.

ამხანაგი ვერ გაიმეტა. იმ ახირებულ ჯარისკაცს თოფი არ ესროლა, თუმცა ვაი რა ძნელი იყო ერთ წამში ორჯერ სიკვდილი.

ორმოცდაოთხი წლის კაცი იყო იონა მებუკე, როდესაც ცხოვრებაში ეს ძნელი წუთი დაუდგა. იგი მაშინვე მიხვდა, რომ მთელი მისი განვლილი ცხოვრება, მთელი მისი ორმოცდაოთხი წელი-წადი მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი წუთის მოსამზადებელი წლები იყო.

ბედნიერია ის კაცი, ვისაც ცხოვრება დაზოგავს და ამ წუთს ააცილებს, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, თუ ის წუთი მაინც დადგა, მაშინ ღმერთმა მოგცეს, ჩემო მეგობარო, იმდენი სულგრძელობა, რამდენიც იმ ღამეს იონა მებუკემ გამოიჩინა...

როდესაც გრანატა ტრიალ-ტრიალით მისკენ წამოვიდა, იგი ორმოში არც კი განძრეულა. მხოლოდ მიწას უფრო დააკვდა და გაინაბა.

გრანატი აფეთქდა. იარაღმა ორჯერ მტყუნება არ იცის.

იონას ბედი, რომ მან უმალვე დაკარგა გრძნობა, თითქმის ადგილას დაჭრილი კაცი, კაკანდეკივიც რომ ყოფილიყო, ერთხელ მაინც დაიკვნესებდა, ერთი „ვაი დედა“ მაინც წამოსცდებოდა და იმ ჯარისკაცის ყურადღებას მიიქცევდა. ახლა კი იგი სტვენა-სტვენით გაეცალა იქაურობას.

ნაშუაღამევს ამ ორმოს უკან მობრუნებული არდაშელია მოადგა. ცოცხალ-მკვდარი მებუკე ლაბადა-კარავში შეახვია და ფერდობზე დიდი გაჭირვებით ჩაათრია.

მრი თვე ებრძოდა სიკვდილს ჰაგნელი ჭრაქტორისტი. მარჯვენა ფეხი მოჰკვეთეს. მრავალ ადგილას გასჭრეს და გრანატის ნამსხვრევები ამოუღეს. ბოლოს. როგორც იქნა საავადო მოიხედა და სოხუმის საევაკუაციო ჰოსპიტალში გადაჰხადნეს.

როგორი ჩუმი კაციც იყო ცხოვრებაში. აქაც ასე ჩუმად იწვა სკოლის ოთახში და დილიდან საღამომდე დავით კლდიაშვილის მოთხრობებს კითხულობდა.

ერთხელ საუბარში წამომცდა: კიდევ ადვილად გადარჩი. ჩემო იონა! იმ ორმოში რა გულმა გაგაძლებინა. პირდაპირ მიკვირს-მითქი.

— იხ, ჩემო კონსტანტინე, სიკვდილი ცოტას ყოველთვის მოიცდის. თუ კაცი არ შეუშინდება! მხოლოდ სირცხვილმა არ იცის მოცდა. მოგა და მაშინვე თავს მოგჭრისო! — მითხრა და ნაღვლიანად გამიღიმა.

ჭარ-თული სამზა-რეულო

ნიგვზიანი ბადრი-ჯანი შემზადებული იმერულად

ქანიანი საშუალო ზომის ბადრიჯანი (ერთი კილოგრამი) სიგრძეზე გაჭერით ისე, რომ ერთმანეთს არ მოშორდეს, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით მდუღარე (ერთი ჩაის ჭიქა) და და მოხარშეთ (არ ჩახარშოთ). ხარშვის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ჩადეთ შიგ ნიახურის გაფოთლილი ღერო იმდენი, რამდენი ცალი ბადრიჯანიც იქნება. მოხარშული ბადრიჯანი ამოიღეთ ქვაბიდან, შეაგრილეთ, დააწყეთ სათითაოდ სუფთა ფიცარზე, ზემოდან დაადეთ მეორე ფიცარი და სიმძიმე, რომ ბადრიჯანი კარგად გაიწუროს. ნიახური გადაიტანეთ თუშფალანგში.

ერთნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ჭინძი (სამი ღერი), ნიორი (ორი კბილი), იმერული ზაფრანა (ორი ჩაის კოვზი), წიწაკა და მარილი (თქვენს გემოზე) დანაყეთ ერთად. ნაყვის დასასრულს ნიგოზს თანდათან ზეთი გამოხადეთ. შეგიძლიათ ასეც მოიქცეთ — დანაყილი ნიგვზის მასას ცოტა წყალი დააშხეფეთ, შემდეგ ხანგამოშვებით ხელი დაისველეთ ცხელ წყალში და მუჭით გამოხადეთ ზეთი, რომელსაც ჩაასხამთ ცალკე ჭურჭელში. ზეთგამოხდილი ნიგვზის მასა გახსენით ღვინის ძმრით ან ბროწეულის წვენით (თქვენს გემოზე). შემდეგ აურიეთ შიგ ძალიან წმინდად დაჭრილი ორი თავი ხახვი (საშუალო სიდიდისა), ასევე წვრილად დაჭრილი ერთი ჩაის ჭიქა მწვანილი (რეჰანი, ჭინძი, ოხრახუში), წვრილად დაჭრილი ნიახურის ფოთოლი (ნახევარი ჩაის ჭიქა), დანაყილი ქინძის თესლი (ნახევარი ჩაის კოვზი). თუ გსურთ, შეგიძლიათ ამ მასალას დაუმატოთ დაფქული მიხაკ-დარიჩინი (თქვენს გემოზე).

თითოეული გაწურული ბადრიჯნის გაჭრილი სივრცე შეავსეთ ნიგვზიანი მოსქო მასით, მიეცით ბადრიჯნის მთლიანი სახე, შემოახვიეთ წინასწარ გამზადებული ნიახურის ღერო, შეკარით, ამოავლეთ ნიგვზიან მასაში და ჩააწყეთ ჭურჭელში. დარჩენილ ნიგვზიან მასას დაუმატეთ აღულებულ ცივ წყალში შერეული ღვინის ძმარი ან ბროწეულის წვენი. მიღებული მოსქო საწებელა დაასხით ჭურჭელში ჩაწყობილ ბადრიჯანს, ზემოდან ლამაზად მოასხით გამოხდილი ნიგვზის ზეთი და მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

მოუსმინეთ საქართველოს

მოუსმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველ სამშაბათს, პარასკევს და კვირას 22 საათზე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე 50,49 მეტრ ან 50,49 კილოჰერცზე.

გადაცემები მოეწყობა ქართულ, რუსულ და აფხაზურ ენებზე.

გარდა ამისა, რადიოსადგურ „სამშობლოთი“ შეგიძლიათ მოისმინოთ ქართული გადაცემები ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე საშუალო ტალღაზე 227 მეტრზე ან 1322 კილოჰერცზე, მოკლე ტალღაზე, 30,83 მეტრზე ან 9730 კილოჰერცზე.

დაგეძებენ, მოგველიან

აკაკი კონსტანტინეს ძე მახარაძეს,

დაბადებულს 1918 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ განში, ეძებენ დედა — **თეო**, ძმები — **ალექსანდრე, გივი მახარაძეები**, მცხოვრებნი სოფელ განში.

მიხეილ კონსტანტინეს ძე მახაბაშვილს,

დაბადებულს 1918 წელს ხაშურის რაიონის დაბა სურამში, ეძებს ძმა — **გოგი (გიორგი) მახაბაშვილი**, მცხოვრები სურამში.

ვარლამ მელიტონის ძე ჩარგეიშვილს,

დაბადებულს 1907 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ კონტუთში, ეძებენ შვილი — **ლუარა**, და — **მარგალიტა**, ძმა — **იაკობ ჩარგეიშვილები**, შვილიშვილი **გია გურული**, მცხოვრებნი თბილისში, მოსკოვის გამზირი № 11.

მიხეილ ივანეს ძე გაბუნიას,

დაბადებულს 1917 წელს ვანის რაიონის სოფელ ციხესულორში, ეძებენ დები — **რუსუდან, ფეოლინე**, ძმა — **ბიქენტი გაბუნიები**, მცხოვრებნი სოფელ ციხესულორში.

გიორგი ილიას ძე პაპიაშვილს,

დაბადებულს 1908 წელს ქასპის რაიონის სოფელ კავთისხევში, ეძებენ დედა — **დარო**, მეუღლე — **ეკატერინე**, შვილები — **მედიკო, ნელი, ნოდარი**, შვილიშვილები — **ქეთინო, მარინე, გია, ვანო**, სიძეები — **გიორგი ნებიერიძე, გაიოზ მაჩაბლიშვილი**, მცხოვრებნი თბილისში, ნუც უბიძის ქუჩა № 4.

გიორგი ვასილის ძე შანშაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში, ეძებენ დედა — **ქსენია**, ბიძა — **შაქრო**, ბიძაშვილები — **ავთანდილ და ბიჭიკო შანშაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ ქვემო მაჩხაანში.

ვახტანგ შალვას ძე ავალიანს,

დაბადებულს 1920 წელს ქუთაისში, ეძებენ ძმა — **გივი**, და — **თინა**, ბიძაშვილი — **ბორის ავალიანები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, პლეხანოვის გამზირი № 179, № 39 ბინა.

ვასილ სარქისის ძე გაზანდარაშვილს,

დაბადებულს 1904 წელს გორის რაიონის სოფელ კარალეთში, ეძებენ მეუღლე — **ნინო**, შვილები — **მაყვალა, ელეონორა, ვალერიან გაზანდარაშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, ზაკომოლდინის IV შესახვევი № 42.

ზოთა და გრიგოლ გერმანეს ძე ჯიხვარიებს,

დაბადებულთ 1922 და 1924 წლებში ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში, ეძებენ დედა — **ფუდუ**, მამა — **გერმანე**, დები — **ზინა, ნათელა**, ძმები — **რევაზ, ნოდარ** და **გურამ ჯიხვარიები**, მცხოვრებნი ქალაქ ფოთში, მიქაბერიძის ქუჩა № 9.

დავით გიორგის ძე ჩუთლაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს სიღნაღში, ეძებენ დედა — **თიკო**, და — **მარგო ჩუთლაშვილები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქუჩა № 59ა.



■ ნიჩბოსნები მტკვარზე

საქართველოს V სპარტაკიადა

საქართველოს მეხუთე სპარტაკიადა, რომელიც ძალთა გენერალური შემოწმებაა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის წინ, დამთავრდა.

სპარტაკიადის სამივე ეტაპის სტარტზე გამოვიდა 1.147.000 სპორტსმენი, ფინალურ ასპარეზობაში კი, რომელიც თბილისში გაიმართა, 2.587 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

11 ნაკრები გუნდი იბრძოდა პირველობისათვის სპორტის 26 სახეობაში. მოასპარეზეთა შორის იყო სპორტის 26 საერთაშორისო ოსტატი, 438 ოსტატი და 265 ოსტატობის კანდიდატი.

სპარტაკიადაზე ნაკრებ კოლექტივებს შორის პირველი ადგილი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა დაიკაუთრეს. წარმატებით გამოვიდნენ ქუთაისის სპორტსმენები, რომლებიც საერთო ჯამში მეორე საპრიზო ადგილზე მოხვდნენ. წინსვლა ეტაუობათ აჭარელ სპორტსმენებს, მათ მეოთხე სპარტაკიადასთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა აიწიეს და მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ.

სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა შორის ჩემპიონობა „დინამოს“ ნაკრებმა მოიპოვა, მეორე ადგილზეა „განთიადი“, მესამეზე — „ჭარიშხალა“.

სპარტაკიადაზე დამყარდა 2 მსოფლიო (იუნიორთა), 5 საკავშირო და 81 რესპუბლიკური რეკორდი.

მაშ ასე, წინ დიდი ასპარეზობაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი სპორტსმენები წარმატებით გამოვლენ სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე.

სპორტი

ნანას ტრიუმფი

ბელგრადში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირი.

საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ნანა ალექსანდრიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი დღეისათვის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა მსოფლიოში. ნანა სტარტიდანვე დაწინაურდა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. ქართველმა მოჭადრაკემ ჩვიდმეტი შესაძლებლიდან ცამეტი ქულა მოაგროვა და უახლოეს მეტოქეს ერთი ქულით გაუსწრო, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ბაქოელმა ტატიანა ზატულოვსკაიამ და ბელგრადელმა მილუნკა ლაზარევიჩმა.

ამრიგად, პრეტენდენტთა მატჩებში ითამაშებენ ალექსანდრია-ლაზარევიჩი და კუშნირ-ზატულოვსკაია. ამ ორ ბრძოლაში გამარჯვებულნი ფინალურ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს. უძლიერესი კი მსოფლიო ჩემპიონის — ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე იქნება.

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს 21 წლის ნანა ალექსანდრიას უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

ჭიდაობაც ამას ჰქვია

სოჭში გაიმართა სამბისტთა საქალაქთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსიის 2-2 ნაკრები გუნდი. რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკას, იგი მხოლოდ 6 მონაწილით იყო წარმოდგენილი ამ ტურნირში. და, მიუხედავად ამისა, ქართველმა სამბისტებმა ისე იასპარეზეს, რომ ყველა განაცვიფრეს და მრავლისმნახველ მწვრთნელებსაც კი ათქმევინეს — ჭიდაობაც ამას ჰქვიაო, — ექვსიდან ხუთმა პირველი ადგილი დაისაკუთრა, ერთმა კი — მეორე.

ახალი რეკორდი!

საქართველოს, სომხეთის, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში, რომელიც ბაქოში გაიმართა, ბრწყინვალედ იასპარეზა თბილისელმა ბადროს მტყორცნელმა გურამ გუდაშვილმა.

საბჭოთა კავშირის ექს-რეკორდსმენმა ბადრო 62,80 მეტრზე გაგზავნა, რაც 8 სანტიმეტრით აღემატება უწინდელ საკავშირო რეკორდს.

სპეციალისტების აზრით, გურამ გუდაშვილი მალე გადალახავს 65-მეტრიან ზღვარს.

პრიზი ფხაკაძეს

ვენინგრადში გამართულ ველოსიპედისტთა საერთაშორისო ასპარეზობაზე, რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სპრინტერულ რბოლაში პრიზი დაისაკუთრა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა ომარ ფხაკაძემ.

„ჭადრაკი“ № 1

ჭადრაკის ქართველმა მოყვარულებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს. საიუბილეო დღეებში გამოვიდა ალმანახი „ჭადრაკი“ № 1, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ“ გამოუშვა.

ალმანახის სარედაქციო კოლეგიაში არიან ცნობილი მოჭადრაკეები, მწვრთნელები, საჭადრაკო კომპოზიტორები, მიმომხილველები და საზოგადო მოღვაწენი. რედაქტორია საერთაშორისო ოსტატი კომპოზიციაში ბია ნადარეიშვილი, გამომცემლობის რედაქტორია მოჭადრაკე ქალი ლეილა ნაჭყებია.

ალმანახის შინაარსი ერთობ მრავალფეროვანია. მასში ოთხი განყოფილებაა. „პარტიები და ფრაგმენტები“ (ხელმძღვანელი — დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე), „დებიუტების თეორია“ (დიდოსტატი ედუარდ გუფელდი), „საკონსულტაციო კუთხე“ (თენგიზ გიორგაძე), „კომპოზიცია“ (ვაჟა ნებიერიძე). თითოეული განყოფილება მკითხველს საინტერესო მასალებს სთავაზობს.



ალმანახი კარგად არის დასურათებული, სასიამოვნოა მისი ტექნიკური გაფორმება. ჭადრაკის მოყვარულებს გულწრფელი მადლობა ეთქმით იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც კარგად გაართვეს თავი ესოდენ საჭირო და კარგ საქმეს.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „საბოლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-60-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488